პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 174 (5275) | ორშაბათი, 1 აგვისტო 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

პირველი აგვისტო — ომისა და ფაშიზმის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღეა

ფაშიზმი — ომია!
სოციალიზმი — მშვიდობიანობა!

1914 წლის პირველი აგვისტო კაცობრიობის ისტორიაში დარჩება როგორც განსაკუთრებული თარიღი... ამ დღეს დაიწყო მსოფლიო იმპერიალისტური ომი, ანუ ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა, რომელმაც მილიონობით უდანაშაულო ადამიანთა სისხლით მორწყო მთელი დედამიწა. ეს დანაშაულებრივი ომი, რომლის მსგავსი საშინელება არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას, ძალით მოახვიეს თავს მშრომელ ხალხს ბურჟუა-კაპიტალისტებმა, რომლებსაც სურდათ მშრომელთა ძვლებისა და სისხლის ფასად თავიანთი ჯიბეები გაესქელებინათ.

არ მოიპოვება ქვეყნად არცერთი ხალხი, რომელსაც ომი სურდეს; პირიქით, ადამიანთა ფართო მასებს სძულთ ომი და სისხლის ღვრა. მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობდა, ახლა „ისევე, როგორც 1914 წელს, პირველ პლანზე გამოდიან მებრძოლი იმპერიალიზმის პარტიები, ომისა და რევანშის პარტიები" და საქმე აშკარად ახალი იმპერიალისტური ომისაკენ მიდის.

საერთაშორისო ვითარება, რომელშიც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით ხასიათდება განსაკუთრებული დაძაბულობით, ფაშისტური აგრესიის უაღრესი გაძლიერებით, ახალი მსოფლიო ომის საშინელებათა მოახლოებით; შეიძლება ითქვას, რომ 1914 წლის შემდეგ ომის საფრთხე არასოდეს ისე ახლოს არ ყოფილა, როგორც ახლა.—მსოფლიო ომის დაწყების მე-24 წლის თავზე.

რა არის ყოველივე ამის მიზეზი?—თვით კაპიტალისტური წყობილება, რომელმაც მოსჭამა თავისი დრო და გადაიქცა საკაცობრიო კულტურისა და პროგრესის ბორკილად.

მაგრამ ისტორიის რკინის ლოგიკა შეუბრალებელია. მან უკვე გასწირა კაპიტალიზმი დასაღუპავად: კაპიტალისტურმა მსოფლიომ ვერც კი მოასწრო წელში გასწორება ახლახან გავლილი მსოფლიო ეკონომიური კრიზისიდან, რომელმაც იგი ძირფესვიანად შეარყია, რომ მან უკვე ფეხი შედგა ახალი კრიზისის ზოლში, რომელიც, ეჭვს გარეშე, კიდევ უფრო მძაფრი და გამანადგურებელი იქნება.

კაპიტალისტური სამყარო გრძნობს აღსასრულის მოახლოებას და ყოველნაირად ცდილობს გაახანგრძლივოს თავისი უბადრუკი არსებობა. ფაშიზმი, სისხლიანი ტერორი, ავანტურისტული ომები—აი რაში ეძებს გამოსავალს დრომოჭმული კაპიტალიზმი.

ფაშიზმი—ეს ფინანსიური კაპიტალის ყველაზე უფრო რეაქციული, ყველაზე უფრო შოვინისტური და ყველაზე უფრო იმპერიალისტური ელემენტების აშკარა ტერორისტული დიქტატურაა; ფაშიზმი დაპყრობითი ომია, იგი მსოფლიოს ხალხთა შორის მეგობრობისა და სოლიდარობის უბოროტესი მტერია.

საერთაშორისო ფაშიზმი ამჟამად აწარმოებს გააფთრებულ ომს დემოკრატიისა და მშვიდობიანობის წინააღმდეგ, ახალი ქვეყნების დასაპყრობად, გავლენის სფეროების გასაფართოებლად. ჰიტლერისა და მუსოლინის ფაშისტური ურდოები, რომლებიც გათამამებული არიან ინგლისელ კონსერვატორთა მხარდაჭერით და ეგრეთწოდებული დემოკრატიული ქვეყნების წაყრუებით, თავს დაესხნენ ესპანეთის ხალხს და უკვე ორი წელია, რაც შეუბრალებლად ანადგურებენ ესპანეთის დაუცველ ქალაქებსა და სოფლებს, არ ინდობენ მშვიდობიან მოსახლეობას, ჰკლავენ ქალებსა და ძუძუმწოვარა ბავშვებს.

აღმოსავლეთით, დანაშაულებრივ ომს ჩინეთის დიდი ხალხის წინააღმდეგ, აწარმოებენ იაპონელი იმპერიალისტები. იაპონელი ფაშისტი მტაცებლები, რომლებიც სარგებლობენ თავიანთი სამხედრო ტექნიკის უპირატესობით, ერთი-მეორეზე ანგრევენ ჩინეთის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს, დაუნდობლად ჟლეტენ და აწიოკებენ მოსახლეობას, უსირცხვილოდ სძარცვავენ ხალხს, ჩინეთის გმირ-დამცველთა სისხლით რწყავენ ველ-მინდვრებს.

ფაშისტი ომის გამჩაღებლები ანთებული ჩირაღდნებით დაძრწიან თოფის წამლის საწყობებში, ისინი კაცობრიობას ახალ ხოცვა-ჟლეტას უმზადებენ; ინგლისის აშკარა წაქეზებით, ფაშისტურმა გერმანიამ დაიპყრო ავსტრია, ხოლო ახლა ამზადებს ჩეხოსლოვაკიის დაპყრობას; ევროპის ცა დაფარულია ომის შავი ღრუბლებით, ჰაერში ომის სუნი ტრიალებს...

მაგრამ ფაშისტური აგრესიის თავგასულობას წინ ეღობება სულ უფრო და უფრო მზარდი დიადი სახალხო ფრონტი, მშვიდობიანობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა ანტიფაშისტური ფრონტი. ესპანეთისა და ჩინეთის ხალხთა გმირულმა ბრძოლამ აგრესორების წინააღმდეგ, მთელ ქვეყანას დაანახვა რა ძალა აქვს თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს.

უკვე ორი წელი შესრულდა, რაც სახელოვანი ესპანელი ხალხი გმირულად იგერიებს გერმანია-იტალიის ფაშიზმის გააფთრებულ იერიშებს. ესპანეთის არმიის გმირი მებრძოლები, რომლებიც თავგანწირულად იბრძვიან მადრიდის კედლებთან, ლევანტის ფრონტზე და პირენეის მთებში, იცავენ არა მარტო საკუთარ ინტერესებს, არამედ—მთელი მსოფლიოს ხალხთა თავისუფლებას და დემოკრატიას.

ძლევამოსილად იბრძვის იაპონელ ყაჩაღთა წინააღმდეგ ჩინეთის დიდი ხალხი. რაც უფრო ჭიანურდება ომი ჩინეთში, მით უფრო აშკარა ხდება, რომ იაპონელი ავანტურისტები უძლური არიან გაუმკლავდნენ დიდი ჩინეთის მრისხანებას. ჩინეთის არმიის ცუდად შეიარაღებული ნაწილები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან თავისუფლების წყურვილით, ერთი მეორეზე ამარცხებენ სამურაების „უძლეველ" დივიზიებს.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა სიმპატიები მიმართულია ესპანეთისა და ჩინეთის ხალხისაკენ; ყველაზე საშიშ და გადამწყვეტ მომენტში მადრიდთან, ესპანელებთან ერთად, თავგანწირვით იბრძოდნენ ინტერნაციონალური ბრიგადის მეომრები, რომლებიც მსოფლიო პროლეტარიატის საუკეთესო შვილებია. ყველა ქვეყნის მშრომელთა შორის სულ უფროდაუფრო მწიფდება ძველი სამყაროს წინააღმდეგ უკანასკნელი და გადამწყვეტი იერიშის იდეა.

ამ უაღრესად დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში, მთელი მსოფლიოს მშრომელთა გულისყური მიპყრობილია მათი ერთადერთი სამშობლოსაკენ—სსრ კავშირისაკენ, რომელიც წარმოადგენს მშვიდობიანობისა და დემოკრატიის მძლავრ დასაყრდენს.

სოციალიზმის ქვეყნის დიადი გამარჯვებებით ცოფმორეული ფაშისტი ავანტურისტები ლმუიან და ბოღმით შესცქერიან საბჭოთა ქვეყნის წითელ საზღვრებს. ისინი მიმართავენ შანტაჟს, პროვოკაციებსა და დივერსიებს, ათასობით გვიგზავნიან ჯაშუშებსა და დივერსანტებს, რათა შეარყიონ ჩვენი ქვეყნის ძლიერება. მაგრამ ამაოა მათი უბადრუკი ლმუილი! საბჭოთა ქვეყნის საზღვრები შემოსალტულია ფოლადის ჯავშნით, რომელზედაც თავპირს დაიმტვრევენ ფაშისტი არამზადები.

დიდი და ძლიერია სოციალიზმის ქვეყანა. იგი მიუვალია როგორც გარეშე, ისე შინაური მტრებისათვის. მაგრამ მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხალხი სრულიადაც არ ეძლევა თვითდამშვიდებას; მან იცის, რომ ვიდრე ჩვენი ქვეყანა კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება, მუდამ იარსებებს ინტერვენციისა და კაპიტალიზმის რესტავრაციის საფრთხე. აი ამიტომ, სსრ კავშირის მშრომელნი ერთი წუთითაც არ ივიწყებენ დიდი სტალინის სიტყვებს:

„საჭიროა ყოველნაირად გავაძლიეროთ და განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, წითელი ფლოტი, წითელი ავიაცია, თავდაცვა-ავიაქიმი. საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა არავითარ „შემთხვევითობას" და ჩვენი გარეშე მტრების არავითარ ოინებს არ შევხვდეთ მოუმზადებელნი"...

დღევანდელ დღეს, ომის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღეს, ყველა ქვეყნის მშრომელები კიდევ უფრო შეამჭიდროვებენ თავიანთ რიგებს უძლეველ სახალხო ფრონტში ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ, ესპანეთისა და ჩინეთის ხალხის დასაცავად, საყოველთაო მშვიდობიანობისა და თავისუფლების დასაცავად.

ტყვარჩელნახშირის მაღაროელი მუშების ვალდებულება

აკარმარა, (საქდესი). ამ დღეებში აკარმარაში შესდგა ტყვარჩელნახშირის მაღაროს მაღაროელი მუშების საერთო კრება. კრებამ მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო განყოფილების გამგის ამხ. მერკულოვის მოხსენება მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბრძანების შესახებ ტყვარჩელნახშირის ტრესტის თაობაზე.

კამათში გამოსულმა მუშებმა ბოლშევიკური კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს მუშაობის ნაკლოვანებანი გამოაშკარავეს მაღაროს ჩამორჩენის ძირითადი მიზეზები ნახშირის მოპოვებისა და გვირაბების გაჭრის გეგმის შესრულებაში. მე-5 უბნის ათისთავმა ამხ. ძიუბენკომ, მე-4 უბნის ბრიგადირმა ამხ. კუზინმა თავისი გამოსვლაში აღნიშნეს შრომის დისციპლინის და თვითეული მაღაროელი მუშისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის პასუხისმგებლობის ამაღლების აუცილებლობა დაკისრებულ სამუშაოსათვის.

ტყვარჩელნახშირის მაღაროების მაღაროელმა მუშებმა იკისრეს ვალდებულება მაღარო გარღვევიდან უახლოეს ვადაში გამოიყვანონ და 1939 წლის 1 იანვრისათვის ნახშირის სადღეღამისო მოპოვება 1000 ტონამდე აიყვანონ.

საყოველთაო სამხედრო ვალდებულება წარმოადგენს კანონს.

„სოიუზფოტოს" რეპროდუქცია

რკინიგზელთა საზეიმო სხდომაზე
ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის გამოსვლა

მოსკოვის კვანძის 15.000 რკინიგზელი ოჯახის წევრებითურთ, დედაქალაქის საწარმოთა მუშები და მოსამსახურენი გუშინ, საღამოს 6 საათისათვის შეიკრიბნენ გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის მწვანე თეატრში საზეიმო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა რკინიგზის ტრანსპორტის სრულიად-საკავშირო დღეს.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დამსწრენი სტალინურ სახალხო კომისარს ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩს. მასთან ერთად პრეზიდიუმში არიან ამხ. უგაროვი, ბრატანოვსკი, სიდოროვი, მოსკოვის კვანძის წარჩინებული კრივონოსელი სტახანოველები, გზათა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელი მუშაკები.

მოსკოვის საოლქო რკინიგზის უფროსის, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხ. ა. ს. ოგნევის წინადადებით, საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ხანგრძლივი ტაშის გრიალში არჩეულ იქნენ ამხანაგები: **სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, ჟდანოვი, ეჟოვი, ხრუშჩოვი, დიმიტროვი, ტელმანი, ხოზე დიასი.**

კრებაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხ. **ლ. მ. კაგანოვიჩი.** ბრწყინვალე ფაქტებითა და შედარებებით სავსე სიტყვა სტალინურს სახალხო კომისარს დამსწრეებმა არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით. ოვაციები ახალი ძალით ჰქუხს, როცა ამხ. კაგანოვიჩი ახსენებს ტრანსპორტელების გამარჯვებათა სულისჩამდგმელის — დიდი სტალინის სახელს.

სცენაზე გამოდის მოსკოვის რკინიგზელთა დელეგაცია. ოქტომბრის რკინიგზის სტალინური სახელოსნოების უფროსის მოადგილე ამხ. ვინოგრადოვი, გამოდის რა დელეგაციის სახელით ამბობს:

— ყველა გამარჯვებას ჩვენ სავსებით უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს მასწავლებელსა და მეგობარს ამხანაგ სტალინს. ჩვენ პირობას ვაძლევთ რევოლუციის ლოკომოტივის დიდ მემანქანეს, რომ ჩვენ მიერ მიღწეული წარმატებები დღითიდღე გაიზრდება, გამრავლდება.

რკინიგზელებს მიესალმნენ აგრეთვე მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და ლენინის მცირე გზის ნორჩ რკინიგზელთა დელეგაციები.

სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის გმირმა ბრიგადის მეთაურმა გ. პ. **ჩკალოვმა**, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. მან სტალინური ავიაციის მფრინავთა სახელით მილოცვა და სალამი გადასცა რკინიგზელებს.

უდიდესი აღფრთოვანებით ღებულობენ შეკრებილნი მისალმებას ამხანაგ სტალინისადმი.

15 ათასი ადამიანი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დგება და აღფრთოვანებულ ოვაციას მართავს ამხანაგი სტალინის პატივსაცემად.

მოსკოვის რკინიგზელთა საზეიმო კრება ტრანსლირებულ იქნა მთელს საბჭოთა კავშირში. ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის გამოსვლას უსმენდნენ საბჭოთა კავშირის მილიონობით მშრომელნი. (საკდესი)

◇ ◇ ◇

რკინიგზელთა ზეიმის დღე თბილისში

30 ივლისს რკინიგზელთა საკავშირო დღეს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი სადღესასწაულოდ იყო მორთული.

ზეიმი პირველად ბავშვებმა დაიწყეს. თვალწარმტაცი ხეივნები აივსო სიხარულითა და ბედნიერებით აღსავსე პიონერებით, რომელნიც გრძნობდნენ საზეიმო დღის მნიშვნელობას.

დიდხანს ისმოდა ნორჩი თაობის ლაღი კისკისი მტკვრის მარჯვენა ნაპირას. წითელყელსახვევა აკრეული გოგო-ბიჭები ატრაქციონებით ერთობოდნენ, მღეროდნენ გმირულ სიმღერებს, ცეკვავდნენ თავდავიწყებით, გატაცებით ამბობდნენ ლექსებს, მოფიქრებით და დინჯად აკეთებდნენ ჭადრაკის მორიგ სვლებს.

ბაღის ერთ კუთხეში საბავშვო მატარებლები გაცხოველებით მუშაობდნენ.

რადიოსტუდიის საბავშვო გადაცემის რედაქციამ მშვენიერი პროგრამა უძღვნა პარკის პიონერებს: მოხდენილად გაკეთებული ნარკვევები ბავშვთა რკინიგზაზე და მის საუკეთესო ადამიანებზე.

○

გაიხსენებთ მოსკოვს და თვალწინ წარმოგიდგებათ კრემლის წითელი კედლები, სიმბოლო დედაქალაქისა.

წარმოიდგენთ თბილისს და თვალწინ აღგემართებათ დავითის მთაზე შემდგარი ფუნიკულორი, თბილისის სიამაყე.

ამ დღეს თბილისის რკინიგზელები დავითის მთასაც ესტუმრნენ. იქიდან გადაჰყურებდნენ მზიან დედაქალაქს, სტკბებოდნენ მისი მომხიბვლელი ლანდშაფტით, ისვენებდნენ კულტურულად.

თბილისის, ამხანაგ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მუშების ერთი ჯგუფი ახლადაგებულ მედიდურ პავილიონის მოაჯირს გადაჰყურებოდა, სხვები კი დავითის მთაზე ახალ გაშენებულ პარკის ხეივნებში დასეირნობდნენ.

რკინიგზელებმა იციან მუშაობა, უყვართ დასვენებაც. სტალინის სახელობის პარკის ადმინისტრაციას გართობა-დასვენების კარგი პროგრამა შეემუშავებინა მათთვის.

○

საღამოს 6 საათზე თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ხალხმა დენა იწყო, მოდიოდნენ რკინიგზელები და მათი ოჯახის წევრები.

სრულ 7 საათზე რადიორეპროდუქტორებმა მოსკოვის რკინიგზელთა საზეიმო კრება გადმოსცეს. რკინიგზის ტრანსპორტის სახკომის ამხანაგ ლ. კაგანოვიჩის პირველ მგზნებარე სიტყვებს მქუხარე ტაში უძღვნეს მოსკოვის მშრომელებმა, მათ ბანი მისცეს თბილისელმა რკინიგზელებმა.

9 საათზე გაიხსნა რკინიგზელთა საზეიმო საღამო. საღამოს ხსნის რკინიგზელთა პროფკავშირის ა.-კ. საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ან. ჯორბენაძე. მქუხარე ტაშით ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმს: ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს, მოლოტოვს, კაგანოვიჩს, ვოროშილოვს, კალინინს, ანდრეევს, მიქოიანს, ჟდანოვს, ეჟოვს, ბერიას, დიმიტროვს, ტელმანს, ხოზე-დიასს, იბარურის.**

საქმიან პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: იშხანოვი, არუთინოვი, სვანაძე, ჯორბენაძე, კოჩლავაშვილი, ჩუბინიძე, დევსურაშვილი და სხვ.

სიტყვებით გამოვიდნენ ა.-კ. რკინიგზის უფროსი ამხანაგი ბ. არუთინოვი, ა.-კ. რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. ი. სვანაძე, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. დევსურაშვილი, სადგურ ნავთლუღის მეისრე ამხ. თვალაძე, თბილისის დეპოს ზეინკალი ამხ. ბერიაშვილი და სხვ.

შემდეგ კი, კვლავ ფერიული კარნავალი, ზღაპრული სანახაობანი გაიშალა. სახკინმრეწვის პროჟექტორები ცისარტყელას შვიდსავე ფერს აფრქვევდნენ. ესტრადაზე გამოდიან ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები, კინოში უჩვენებენ ფილმს „ლენინი ოქტომბერში". პარკის ერთ კუთხეში ქართული ჭიდაობაა გაჩაღებული. ცეკვის მოედანზე ქალვაჟთა რამდენიმე ასეული წყვილი ცეკვავს.

ბედნიერი რკინიგზელები ისმენდნენ ქართულ ხალხურ სიმღერებს და თვითონაც მღეროდნენ, უყურებდნენ და სტკბებოდნენ ცეცხლოვანი „მთიულურით" და თითონაც ცეკვავდნენ. ზეიმობდნენ იმიტომ, რომ ახალი გამარჯვებით შეხვდნენ სახელოვან დღესასწაულს, მათ ამ დღეს 4.052 ვაგონი დატვირთეს.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა

პარიზი, 29 ივლისი (საკდესი). გუშინ პარიზში შესდგა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა. ამ სხდომის შესახებ გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია, რომ პოლიტბიურო ხელისუფალთაგან მოითხოვს ენერგიული ზომების მიღებას მათ მიმართ, ვინც 17 ივლისს ცდილობდა მოეხდინა გრენობლში კომპარტიის გენერალური მდივნის მორის ტორეზის სიცოცხლის ხელყოფა. პოლიტბიურო მოითხოვს დაიწყონ, ბოლოსდაბოლოს, საფრანგეთის ფაშისტთა ორგანიზაციების ნამდვილი დაშლა და ამ ორგანიზაციების ბელადებისა და ყველა ფაშისტი შეთქმულის დაპატიმრება.

„კომპარტია, — ნათქვამია შემდეგ ცნობაში, — კვლავ განაგრძობს თავის ბრძოლას სახელმწიფო და კომუნალური დაწესებულებების მოსამსახურეთა და მუშათა ინტერესების დასაცავად. პოლიტბიურო სავსებით იწონებს კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის ინიციატივას, რომელმაც სოციალისტების საპარლამენტო ჯგუფისაგან მოითხოვა ერთად მოქმედება, რათა მიაღწიონ პარლამენტის მოწვევას უახლოეს დროში. პოლიტბიურო თვლის, რომ კომუნისტური და სოციალისტური საპარლამენტო ჯგუფების გაერთიანებული მოქმედება შეიძლება დაუყოვნებლივ დაიწყოს".

ცნობაში ნათქვამია, რომ საგარეო პოლიტიკის საკითხებში პოლიტბიურო მოუწოდებს კომუნისტური პარტიის ყველა ორგანიზაციას ენერგიულად გაატარონ ცხოვრებაში გადაწყვეტილებანი, მიღებული მშვიდობიანობის დაცვის კონფერენციის მიერ, რომელიც ამ დღეებში შესდგა პარიზში.

„ამ კონფერენციამ გვიჩვენა, რომ ყველა ქვეყანაში და მოსახლეობის ყველა სოციალურ ფენაში სწრაფად იზრდება ნებისყოფა ფაშისტური აგრესორებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

ცივილიზებული მსოფლიო აღშფოთებულია ესპანეთში და ჩინეთში დაუცველი მოსახლეობის საზიზღარი მკვლელებით. ცივილიზებული მსოფლიო მოითხოვს, რათა ყველა ქვეყნის მთავრობა, და პირველ რიგში დასავლეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნების მთავრობები, დაუბრუნდნენ საერთაშორისო სამართლისა და კოლექტიური უშიშროების პრინციპების დაცვას". „პოლიტბიურო ილაშქრებს" საიდუმლო დიპლომატიის" მეთოდების წინააღმდეგ, რომლის გამოყენებას განაგრძობენ საფრანგეთში მაშინ, როდესაც ეს მეთოდები გადაჭრით დაგმობილია სახალხო ფრონტის პროგრამით. ინგლისის მეფე-დედოფლის ჩამოსვლას პარიზში თან ახლდა ახალი საიდუმლო თათბირები საფრანგეთის სხვადასხვა მოღვაწეებსა და ჰალიფაქსს შორის, რომლის პროფაშისტური საგარეო პოლიტიკა საყოველთაოდ ცნობილია".

მორის ტორეზის სიცოცხლის ხელყოფის ცდა

პარიზი, 29 ივლისი (საკდესი). „ლუმანიტე" იუწყება იმ ყუმბარის გამოკვლევის შედეგების შესახებ, რომელიც ბალახში იპოვნეს ტრიბუნის ახლოს, სადაც 17 ივლისს გრენობლში 15 ათასიანი მიტინგის წინაშე გამოვიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი. ყუმბარა უდიდესი გამანადგურებელი ძალის აღმოჩნდა. ექსპერტებმა განაცხადეს, ფაშისტ ბანდიტებს რომ ამ ყუმბარის გასროლა მოეხერხებინათ, იგი დახოცავდა ყველას, ვინც კი აფეთქების ადგილიდან 15 მეტრის რადიუსზე იქნებოდა.

პოლონეთის მთავრობის თავხედური გამოსვლა ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ

ვარშავა, 28 ივლისი (საკდესი). პოლონეთის დეპეშეთა სააგენტოს ამ წლის 23 ივლისის ცნობით, პოლონეთის ელჩმა პრაღაში ჩეხოსლოვაკიის მთავრობას გადასცა ახალი ნოტა „ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის" ვითომდა „ანტიპოლონური მოქმედების გამო". ნოტაში, პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, გამოთქმულია უკმაყოფილება იმ არასაკმაო ზომებით, რომლებიც მიიღო ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ და აგრეთვე უკმაყოფილებაა გამოთქმული იმის გამო, რომ ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლებამ „ყურადღება არ მიაქცია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მხრივ წარმოებულ ანტიპოლონური საქმიანობის ფაქტებს, რომლებიც ჩამოთვლილია პოლონეთის მთავრობის ა/წ. 22 მარტის ნოტაში. პოლონეთის მთავრობის ამ ახალ თავხედურ გალაშქრებას ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ და მის საშინაო საქმეებში ჩარევას თან ახლავს დეკლარაცია იმის შესახებ, რომ „პოლონეთის მთავრობა მზად არის დახმარება გაუწიოს ჩეხოსლოვაკიის უშიშროების ორგანოებს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე კრამოლური საქმიანობის თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის საქმეში".

სტახანოველი კომბაინერები

კრასნოდარი, 30 ივლისი (საკდესი). მოწინავე კომბაინერთა სტახანოვურმა მუშაობამ უზრუნველჰყო მათთვის მაღალი ხელფასი. ლადოგის რაიონში კომბაინერმა ამხ. როლდუგინმა 19 სამუშაო დღეში „სტალინეცით" აიღო 478 ჰექტარი თავთავიანი კულტურების მოსავალი, ამასთან თვითეულ ჰექტარზე გალეწა საშუალოდ 17,7 ცენტნერი მარცვლეული. ამ 19 დღეში მან გამოიმუშავა 6.164 მანეთი.

კომბაინერმა ამხ. ლევჩენკომ ასეთსავე ვადაში აიღო 456 ჰექტარი მოსავალი და გამოიმუშავა 5.429 მანეთი.

მამონტის ლეშისაკენ
ექსპედიცია იმყოფება კოლიუჩინის კუნძულთან

გემი „ოკეანე", 29 ივლისი (საკდესის სპეცკორი). გემი „ოკეანე", რომელიც მიემართება მამონტის ლეშის ჩამოსატანად, ორჯერ შეეცადა გზის გაკვლევას ვრანგელის კუნძულისაკენ, მაგრამ გემს გზა მძიმე ყინულებმა გადაუღობეს.

კუნძულის ყოფილი უფროსის ამხ. პეტროვის ცნობის თანახმად, მან ორჯერ მიაღწია კატარღით იმ ადგილს სომნიტელნაიას ბუხტაში, სადაც მამონტის ლეშია. აქ, დაბალ ნაპირზე, ამხ. პეტროვმა აღმართა საცნობო ნიშანი—მაღალი ანძა ბაირაღით. პეტროვი იუწყება, რომ ის ყინული, რომელიც მამონტს ჰფარავდა უკვე გამდნარია, დარჩა მხოლოდ ტალღების მიერ ზედწაყრილი რიყე. ჩვენი დაჟინებითი თხოვნით, პეტროვმა დაუმატა რიყის ფენას და ლეშს ირმის ტყავები დააფარა. არავითარი ნიშანი არ არის იმისა, რომ მამონტი იხრწნებოდეს.

ამჟამად ჩვენი „ოკეანე" სდგას კოლიუჩინის კუნძულთან, ელოდება დასავლეთისაკენ მიმავალ გემებს და აგრეთვე თვითმფრინავებს ავიადაზვერვისათვის.

ჩვენი ექსპედიციის სპეციალისტები სარგებლობენ წყნარი, მზიანი დღეებით და შეისწავლეს კოლიუჩინის კუნძულის მცენარეულობა, ცხოველები, ნიადაგის ზედაფენა და გაყინულობის მოვლენები, რაც აქამდე შესწავლილი არ ყოფილა. კლდოვანი კუნძული თავდება ზღვასთან მაღალი შვეული კედლებით, სადაც მეთოვლიებს, სუფთანებსა და ბურგომისტრებს ხმაურა ბაზარი აქვთ გამართული. კუნძულზე ნახულია „პუნოჩკა", ყვავი, პოლარული ბუ და სხვა ფრინველები. კუნძულის ზედაპირი ძირითადად მიყრილ-მოყრილი უზარმაზარი კლდეებისაგან შესდგება. ექსპედიციამ აღმოაჩინა აქ ტორფნარი, რომელშიც შენახულია წიაღის ფლორის ნიმუშები.

ეძერი.

სარეკორდო დატვირთვა

30 ივლისი რკინიგზის ტრანსპორტის სტალინური დღე ამიერკავკასიის რკინიგზაზე აღინიშნა სარეკორდო დატვირთვით. ამ დღეს მშრალი ტვირთის დატვირთვა და ნავთის ჩასხმა შეადგენდა 4.105 ვაგონს, ნაცვლად ნორმით დაწესებული 2.885 ვაგონისა.

30 ივლისს გზამ განტვირთა 3.460 ვაგონი, ნაცვლად ნორმით დაწესებული 2.100 ვაგონისა. (საქდესი).

ვიბრძოლოთ მშვიდობიანობისათვის—ომის წინააღმდეგ

დოლორეს იბარური

★

ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი — ხოზე დიასი მადრიდის მახლობლად სანგრების თხრის დროს. „სოიუზფოტო“.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის შედეგები *

46 მილიონი მსხვერპლი

მოკლულნი (აღრიცხულნი)	9.998.771 კაცი
მძიმედ დაჭრილნი	6.295.512 „
მსუბუქად დაჭრილნი	14.002.039 „
უკვალოდ დაკარგულნი (მათ შორის ყუმბარებით დაფლეთილნი) და ტყვედ წაყვანილნი	5.983.600 „
ომის შედეგად გაჩენილმა ინფლუენციის ეპიდემიამ 1918 წ. იმსხვერპლა	10.000.000 „

ყველაზე მეტი დანაკლისი მოკლულების მხრივ განიცადეს რუსეთმა, გერმანიამ, ავსტრია-უნგრეთმა და საფრანგეთმა.

---

*) ამერიკელი სტატისტიკოსისა და ეკონომისტის სტიურატ ჩეიზის გამოანგარიშებით.

ომის ფრონტი და მშვიდობიანობის ფრონტი

ი. ვიქტოროვი

24 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც დაიწყო მსოფლიო იმპერიალისტური ომი, რომელმაც 4 წელიწადს გასტანა — 1914-დან 1918-მდე. ეს ომი ბურჟუაზიამ და მისმა სოციალ-დემოკრატმა დამქაშებმა „უკანასკნელ ომად“ გამოაცხადეს. ცხოვრებამ გამოააშკარავა ეს საზიზღარი სიცრუე. მთელ ომის შემდგომ წლებში არ შეწყვეტილა ომები, არ შეწყვეტილა მზადება სულ ახალი და ახალი სამხედრო იმპერიალისტური ავანტიურებისათვის.

იმპერიალისტური ომის 24 წლისთავს მსოფლიო ხვდება უკიდურესი დაძაბულობის ვითარებაში. როდესაც ფაშისტი აგრესორები და მათი ხელშემწყობნი გამალებით ამზადებენ ახალ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტას. ომის ხანძარი გიზგიზებს ევროპის დასავლეთ განაპირა მხარეში — ესპანეთში, და აზიაში — ჩინეთის მიწა-წყლის ფართო სივრცეებზე.

მსოფლიო ომის შემდეგ დამყარებული დროებითი „წესრიგი“ ძირფესვიანად შერყეული და დარღვეულია. „სამშვიდობო“ ხელშეკრულებებისაგან ნაფლეთები-ღა დარჩა. ერთა ლიგას — ომის დროს დაღვრილი სისხლის სამაგიეროდ ხალხებისათვის მიგდებულ ამ ნასუფრალს — ერთსულოვნად უთხრიან ძირს აგრესორები, მათი დამქაშები და მფარველები. ყველაფერი შერყეულია. გაჩაღებულია მძაფრი, კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო შეჯიბრება შეიარაღებაში. ყალიბდება აგრესიული ბლოკები, იდება სამხედრო კავშირები. უაღრესად განვითარდა შპიონაჟი, დივერსია — მომავალი სამხედრო კონფლიქტების მაუწყებელი.

აგრესიის ტალღა სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს. ეგრეთწოდებული „მშვიდობიანი“, „დიდი“ ბურჟუაზიულ - დემოკრატიული სახელმწიფოები კი გულმოდგინედ ევაჭრებიან აგრესორებს იმ ამაო იმედით, რომ მოაშორონ თავის ნაპირებს აგრესიის მღვრიე ტალღები. ისინი მზად არიან ომის გაუმაძღარ გამჩაღებლებს ჩაანთქმევინონ მცირე და სუსტი სახელმწიფოები, მოუსიონ აგრესორი საბჭოთა კავშირს. ბევრი მცირე სახელმწიფო, საშინლად დამფრთხალი, ეძებს გამოსავალს: ისინი ან აგრესორს უდგებიან სამსახურში, ან საჩქაროდ აჭედენ თავიანთ ჭიშკარს დაფებს წარწერით: „ნეიტრალიტეტი“, რითაც ემსგავსებიან სირაქლემას, რომელიც საფრთხის მოახლოვებისას თავს ქვიშაში მალავს.

ამ პანიკას სთესენ აგრესორები, შინაგანად სუსტნი, ხოლო ძლიერნი იმ დაუსჯელობით, რომელიც შექმნა ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ სახელმწიფოთა წაყრუებამ. ამ პანიკას სთესენ აგრესორთა აშკარა და ფარული ხელშემწყობნი იმისათვის, რომ გაამართლონ თავისი ლაჩრული და გამცემლური პოლიტიკა ფაშისტ ავაზაკების წინაშე კაპიტულაციისა. მაგრამ პანიკის ტალღა იმსხვრევა და იფანტება საბჭოთა კავშირის შეურყეველ საზღვრებთან. ამ პანიკისათვის შეუვალი არიან ჩინეთისა და ესპანეთის გმირული არმიები, რომლებიც ებრძვიან აგრესორებს თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

აგრესორი საშიში არ არის მშვიდობიანობის ნამდვილი დამცველებისათვის, იგი საშიშია მხოლოდ მშვიდობიანობისათვის ბრძოლის გამცემლებისათვის.

* * *

1 აგვისტო ომის საწინააღმდეგო დღეა. იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლა განუყოფელია ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაგან, ვინაიდან ფაშიზმი — ეს ომია. ამიტომ 1 აგვისტო — ეს არის ანტიფაშისტური ძალების დათვალიერების დღე, იმ ძალებისა, რომელთა წყარო დაუშრეტელია, ვინაიდან ეს წყარო მთელი მსოფლიოს ხალხებია.

უკანასკნელი წლები აღინიშნა აგრესიული ბლოკების გაძლიერებული ჩამოყალიბებით. „ღერძი რომი - ბერლინი“ ტოკიომდე გადაიჭიმა. რომ - ბერლინის ბლოკის „პირმშო“ გახდა ინტერვენცია ესპანეთში, სისხლისმღვრელი დანაშაულებრივი ომი ესპანელი ხალხის წინააღმდეგ. ბერლინ-რომ-ტოკიოს ყაჩაღური კონცერნის ტოკიოს ფილიალმა თავის მსხვერპლად აირჩია ჩინეთი, იტალიის ფაშიზმი ავაზაკურად თავს დაესხა აბისინიას, გერმანიის ფაშიზმმა ხელთ იგდო ავსტრია.

მაგრამ ეს მხოლოდ „ყვავილებია“. დაპყრობათა ის პროგრამა, რომელიც აგრესორებმა შეიმუშავეს, კიდევ ისეთ „ნაყოფს“ გვიქადის, რომელიც ახლანდელ სამხედრო ავანტიურებს დაჩრდილავს.

სწორედ „დიდ დაპყრობათა“ პროგრამის განსახორციელებლად ერთიანდებიან ფაშისტები ბლოკებად და კავშირებად, იკრებენ მომხრეებსა და მოკავშირეებს მცირე სახელმწიფოებს შორის, რომელთაგან ფაშისტი მძარცველები მოითხოვენ ან პურისა და სტრატეგიული ნედლეულის მიწოდებას ან აგრესორებისათვის თავისი საზღვრების „კრედიტად“ მიცემას. ჰიტლერის რწმუნებული აღმოსავლეთ ევროპაში, პოლკოვნიკი ბეკი გამალებით იბირებს „ნეიტრალურ ბლოკში“ ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე ფინეთს, ლატვიას, ესტონეთს, სკანდინავიის სახელმწიფოებს... ჰიტლერისა და მუსოლინის რწმუნებული ცენტრალურ ევროპასა და ბალკანეთში, იუგოსლავიის პრემიერი სტოიადინოვიჩი აფეთქებს მცირე და ბალკანეთის ანტანტებს, ძირს უთხრის კოლექტიურ უშიშროებას, გზას უკაფავს გერმანიისა და იტალიის ფაშიზმის ექსპანსიას ბალკანეთში.

რაკი ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ სახელმწიფოთა წინააღმდეგობას არ ხვდებიან, იტალია-გერმანელი აგრესორები იჭრებიან ესპანეთში, აგებენ სიმაგრეებს აფრიკის სანაპიროზე და ემუქრებიან გიბრალტარს, ჰქმნიან მიწის ზედაპირისა და მიწისქვეშა აეროდრომების ქსელს საფრანგეთ-ესპანეთის საზღვართან, სძირავენ ინგლისის გემებს, ხოცავენ ბრიტანელ მეზღვაურებს. იაპონელი დამპყრობნი პარპაშობენ ჩინეთის იმ ტერიტორიაზე, რომელიც მათ ხელთ იგდეს, სდევნიან იქიდან ინგლისისა და ამერიკის კაპიტალს, დასცინიან ინგლისელ, ფრანგ, ამერიკელ მოქალაქეებს.

სწორედ აგრესორთა დაუსჯელობა ჰქმნის მათი ძლიერების შთაბეჭდილებას. განა არ შეეძლოთ ეგრეთწოდებულ „მშვიდობიან“ ქვეყნებს შეეჩერებინათ აგრესორი? უეჭველად შეეძლოთ! ინგლისის, საფრანგეთის, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების გაერთიანებული სიმძლავრის წინაშე, ხოლო მით უმეტეს ამ გაერთიანებაში სსრ კავშირის მონაწილეობისას, აგრესორთა ძალები უმნიშვნელოა.

ჩეხოსლოვაკიის მაგალითი საკმაოდ დამახასიათებელია. როდესაც ჩეხოსლოვაკიის ხალხმა მტკიცედ გამოამჟღავნა თავისი ნებისყოფა, რომ აგრესიას წინააღმდეგობას გაუწევდა, და როდესაც ამოძრავდნენ — აგრესორებისა და მათი ლონდონელი მფარველების ნებასურვილის მიუხედავად — მშვიდობიანობის კოლექტიური დაცვის ელემენტები, მაშინ აგრესორმა უკან დაიხია.

სავსებით უეჭველია — ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ სახელმწიფოებს კოლექტიური უშიშროების პრინციპები რომ დაეცვათ, ნამდვილად რომ მოინდომებინათ აგრესორისათვის წინააღმდეგობის გაწევა, არ მოხდებოდა არც აბისინიის, არც ესპანეთის, არც შორეულ - აღმოსავლეთის ავანტიურები.

პროფაშისტურ რეაქციულ ხროვას, რომელიც ინგლისის საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს, და მის მოკავშირეებს საფრანგეთის რეაქციის ბანაკიდან ისევე სურთ რესპუბლიკური ესპანეთის ჩახრჩობა, როგორც იტალია-გერმანელ ინტერვენტებს. ინგლის - საფრანგეთის რეაქციული ზუბრებისათვის გერმანიისა და იტალიის ფაშიზმი — ეს არის ჟანდარმი, მუშათა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ დასაყრდენი. ინგლისისა და საფრანგეთის რეაქციონერები მთელი ძალღონით ცდილობენ ფაშისტური ჟანდარმერიის შენარჩუნებას და თავისი კლასობრივი ინტერესების გულისათვის თავისი ქვეყნების ნაციონალურ და სახელმწიფოებრივ ინტერესებსაც კი მსხვერპლად სწირავენ.

ამავე მოტივებით განისაზღვრება ბრიტანეთის პოლიტიკაც ჩინეთში. განა ფაქტი არ არის, რომ ინგლისის მთავრობამ, რომელმაც დაარღვია ერთა ლიგაში ნაკისრი ვალდებულებანი — ყოველმხრივი დახმარება აღმოეჩინა ჩინეთისათვის, უარი უთხრა ჩინეთის მთავრობას სესხის მიცემაზე? განა ფაქტი არ არის, რომ სწორედ ამავე დროს, დაარღვია რა იგივე ვალდებულებანი, ინგლისის მთავრობა დასთანხმდა იმაზე, რომ იაპონელებს ხელში ჩაეგდოთ ჩინეთის საბაჟო შემოსავალი, რასაც უცხოეთის ვალუტით ახდევინებენ? განა ფაქტი არ არის, რომ ლონდონის ბანკირები ცდილობენ იხსნან დაცემის გზაზე დამდგარი იაპონური ვალუტა?

და მაინც, მიუხედავად თავისი დაუსჯელობისა, ფაშისტმა აგრესორებმა ვერ შესძლეს თავისი გეგმების განხორციელება, ვერ შესძლეს — ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით — მსოფლიო ომის გაჩაღება. ამ მხრივ უდიდესი დამსახურება მიუძღვით ესპანელ ხალხს, ჩინეთის ხალხს. ესპანეთის რესპუბლიკური არმიის მებრძოლნი, ჩინეთის სახალხო არმიის მებრძოლნი ანტიფაშისტური ძალების პირველ რიგებში დგანან. ხალხები აღდგნენ თავისი უფლებების დასაცავად, ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ საბრძოლველად — და ისინი სასწაულებს ახდენენ.

ესპანელმა ხალხმა, რომელსაც მსოფლიო ომის გამოცდილება არ ჰქონია, შესძლო შექმნა საუცხოო, მებრძოლი, გმირული არმია, რომელიც მიუხედავად იარაღის სიმცირისა, მიუხედავად მტრის უდიდესი ტექნიკური უპირატესობისა, იბრძვის — თავგამოდებით და მედგრად — ფაშისტ აგრესორთა კოალიციის წინააღმდეგ.

ჩინელმა ხალხმა გვიჩვენა, რომ სამუდამოდ წავიდა ის დრო, როდესაც ჩინეთში ომი „სამხედრო გასეირნება“ იყო. ჩინეთმა შექმნა სახალხო არმია, რომელიც დაიცავს თავის მიწა-წყალს უცხოელ მოძალადეთაგან. ჩინელი ხალხი არ დაემორჩილება იაპონელ იმპერიალისტებს!

ჩინეთისა და ესპანეთის მაგალითები, არნახული გმირობისა და ვაჟკაცობის ნიმუშები ბრძოლის ნებისყოფას ანთებენ მილიონთა გულში. ანტიფაშისტური მოძრაობა იზრდება არა მარტო ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ, არამედ ფაშისტურ ქვეყნებშიაც — გერმანიაში, იტალიაში, სადაც ღვივდება ხალხის დიდი გულისწყრომა, რომელიც მალე აშკარად აზვირთდება.

და თუ სახალხო ფრონტი ესპანეთში ის საფუძველი იყო, რომელზეც გაიზარდა სახალხო არმია, თავის მხრით ამ არმიის ბრძოლამ, ყველა ხალხთა ბრძოლამ ინტერვენტების წინააღმდეგ, ფაშისტების წინააღმდეგ შეადუღა, განამტკიცა სახალხო ფრონტი. მიუხედავად რეაქციის ოინებისა, სახალხო ფრონტი საფრანგეთში გატეხილი არ არის, არამედ სულ უფრო და უფრო მძლავრ ძალად იზრდება. სულ უფრო და უფრო ძლიერდება მისწრაფება სახალხო ფრონტისადმი ინგლისში, თანდათანობით იჭედება დემოკრატიული ფრონტი შეერთებულ შტატებშიაც.

ომის საწინააღმდეგო დღეს მთელი მსოფლიოს ანტიფაშისტთა თვალი მიპყრობილი იქნება საბჭოთა კავშირზე, მშვიდობიანობისათვის, ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ მძლავრ და თანმიმდევარ მებრძოლზე. ყველა ანტიფაშისტს შეესაბამება პასიონარიას სიტყვები იმის შესახებ, რომ „ესპანეთის ყველა მებრძოლთა გულში, მთელი ჩვენი ხალხის გულში სცოცხლობს ამხანაგ სტალინის სახე და მძლავრი საბჭოთა კავშირი“.

მშვიდობიანობის ფრონტი მტკიცდება, მიუხედავად აგრესორთა გამალებული აქტივობისა, მიუხედავად ბურჟუაზიულ - დემოკრატიული სახელმწიფოების კაპიტულანტური პოლიტიკისა. აგრესიასთან ბრძოლის თვითეული დღე წარმოშობს ახალ რაზმებს ბრძოლის ფრონტისათვის — გამხეცებულ ფაშისტთა ბარბაროსობისაგან კაცობრიობის დასაცავად.



რესპუბლიკური ესპანეთის ტყვიამფრქვევლები.

★

იაპონელ დამპყრობლების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე აგრესორები იძულებით ამუშავებენ მოსავლის აღებაზე ჩინელ გლეხებს.

★

იაპონელი ფაშისტ-ბარბაროსების მიერ გადამწვარი ჩინური სოფელი შანხაის მახლობლად. „სოიუზფოტო“.

ფაშისტი აგრესორები იარაღს ისხამენ

ორი წელიწადია, რაც ესპანეთის გმირული ხალხი იგერიებს იტალია-გერმანიის ფაშისტთა ურდოებს. ერთ წელზე მეტია, რაც ჩინეთის მინდვრებზე სისხლი იღვრება. გერმანიის ფაშიზმმა გასთელა ავსტრიის ხალხის დამოუკიდებლობა. უშუალო საშიშროება ემუქრება ჩეხოსლოვაკიას.

მაგრამ ფაშისტი აგრესორებისათვის ეს ცოტაა. ისინი ეძებენ მოხერხებულ შემთხვევას, რომ ახალი საერთაშორისო იმპერიალისტური ომის ცეცხლი გააჩაღონ. ფაშისტი აგრესორები, რომლებიც ახალი ტერიტორიების დაპყრობისაკენ მიისწრაფიან, პირველ რიგში ოცნებობენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის დაპყრობაზე. ბანდიტთა, ჯაშუშთა და მოღალატეთა „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის“ პროცესმა დაგვანახვა, თუ საით არის მიმართული ფაშიზმის მტაცებლური გეგმები.

ახალი ომის საწარმოებლად ფაშისტური აგრესორები ჰქმნიან დიდ არმიებს, რომელთა რიცხვმა დიდიხანია გადააჭარბა ომის წინანდელ დონეს. მრავალრიცხოვანი არმიების შექმნასთან ერთად ფაშისტები ასამხედროებენ თავიანთი ქვეყნების მთელ სამოქალაქო მოსახლეობას, აგროვებენ ჯარისკაცთა დიდ რეზერვებს, განუწყვეტლივ აფართოებენ სამხედრო მრეწველობას, ომის საჭიროებასთან შეფარდებით აგებენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგს.

იმპერიალისტი მტაცებლები არა მარტო ადიდებენ არმიის რიცხვს, ისინი აიარაღებენ ამ არმიებს უახლესი სამხედრო ტექნიკით. სამხედრო-ტექნიკურ საშუალებათა შორის პირველ ადგილზე დგას ავიაცია. ესპანეთში და ჩინეთში წარმოებული ომი გვიჩვენებს, რომ იმპერიალისტური ქვეყნები ემზადებიან გამოიყენონ ავიაცია არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ მოწინააღმდეგის ზურგზე თავდასხმისთვისაც. ფაბრიკების და ქარხნების, ქალაქებისა და სოფლების განადგურება, ტრანსპორტის მუშაობის დეზორგანიზაცია, ელექტროსადგურების, მოსპობა, ქალების, ბავშვებისა და მოხუცების მასობრივად ამოხოცვა — აი ის „საგმირო საქმენი“, რომლებსაც უკვე სჩადის ფაშისტური ქვეყნების ავიაცია.

კაპიტალისტური მთავრობები ყოველნაირად ცდილობენ უზრუნველჰყონ თავიანთი სამხედრო-საჰაერო ძალების სწრაფი ზრდა. არცერთი სამხედრო-ტექნიკური საშუალება არ ვითარდება ისე სწრაფად, როგორც ავიაცია. ასე, მაგალითად, ფაშისტურ გერმანიაში 1933 წლის 1 იანვრისათვის იყო სულ 250 საბრძოლო თვითმფრინავი, 1938 წლის 1 თებერვლისათვის კი — 2.800; აქედან 50 პროცენტი — ყუმბარმზიდებია.

ავიაციასთან ერთად ვითარდება სატანკო იარაღიც. გერმანიას ჯერ კიდევ 1933 წლის იანვარში სრულიად არ გააჩნდა ტანკები, 1938 წლის პირველი თებერვლისათვის კი მას უკვე 2.800 ტანკი ჰქონდა.

ავიაციისა და ტანკების განვითარებასთან ერთად გაიზარდა არტილერიის მნიშვნელობაც, რომელიც აუცილებელია მტრის ავიაციისა და ტანკების წინააღმდეგ საბრძოლველად. არტილერია ეხმარება ქვეითა ჯარს, გზას უკაფავს ტანკებს, უზრუნველჰყოფს ავიაციის მოქმედების თავისუფლებას.

ავიაციასთან, ტანკებთან და არტილერიასთან ერთად ვითარდება სამხედრო ქიმიაც. განსაკუთრებით ეს ეხება ფაშისტურ გერმანიას. იმპერიალისტი მტაცებლები ანვითარებენ სამხედრო ბაქტერიოლოგიას. აქ მათ ყურადღებას იზიდავს ორი გარემოება: ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა შემუსვრისუნარიანობა და მათი განსაკუთრებული სიიაფე.

შექმნა რა მრავალმილიონიანი არმია და გაასამხედროვა რა ქალები და ბავშვები, ფაშიზმმა არა თუ ვერ მოსპო, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა პირობები იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის. ბურჟუაზიას ნათლად აქვს წარმოდგენილი ის საშიშროება, რომელიც მას მოელის. მას ეშინია იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისა და ყოველნაირად ცდილობს გამონახოს გამოსავალი. მაგრამ გამოსავალი მისთვის არ არსებობს. მომავალი იმპერიალისტური ომი აუცილებლად გადაიქცევა სამოქალაქო ომად, რომელიც ბოლოს მოუღებს ფაშიზმს.

რა დაჯდა მსოფლიო იმპერიალისტური ომი

1914 წლიდან 1919 წლამდე ჩათვლით

ქვეყნები	ხარჯები (მილიონ დოლარობით 1913 წ.)
ინგლისი	28.835
მთელი ბრიტანეთის იმპერია	36.851
ბელგია [1]	1.280
საფრანგეთი	16.228
საბერძნეთი [1]	155
იტალია	7.431
იაპონია	1.390
პორტუგალია [1]	642
რუმინეთი	210
რუსეთი	13.561
სერბია [1]	366
ამერიკის შეერთებული შტატები	20.114
სულ	98.228
ავსტრია-უნგრეთი [2]	10.848
ბულგარეთი [1]	246
გერმანია	23.176
თურქეთი [1]	1.613
სულ	35.883
საერთო ჯამი	134.111

---

[1] მხოლოდ დაახლოვებითი შეფასება.

[2] დაახლოვებითი შეფასება 5 წლის განმავლობაში.

ლ. პეტროვი

სსრ კავშირი მშვიდობიანობის დასაყრდენია მთელ მსოფლიოში

ოცდაოთხი წლის წინათ, 28 ივლისს დაიწყო 1914—1918 წლების იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტა. ის გაჭირვება და საშინელებანი, რაც მაშინ კაცობრიობამ განიცადა, დღემდეც ახსოვთ მთელი მსოფლიოს მშრომელთ. ამჟამად მსოფლიო კვლავ უფსკრულის პირზეა. მას ემუქრება განმეორება საყოველთაო სამარი კატასტროფისა, რომელსაც ფაშისტი აგრესორები ამზადებენ.

10 მილიონი მოკლული, 20 მილიონი დაჭრილი, შიმშილისა და ეპიდემიებისაგან —ომის ამ გარდუვალ თანამგზავრთაგან—ათეულ მილიონობით დახოცილნი — აი რა დაუჯდა კაცობრიობას მსოფლიო იმპერიალისტური ომი. მეორე მსოფლიო ომი, თუ ის თავიდან არ იქნა აცილებული, გაცილებით მეტი რაოდენობით მოითხოვს მსხვერპლს.

გერმანიამ არა მარტო დაარღვია ვერსალის ხელშეკრულების სამხედრო მუხლები; მან არა მარტო ფეხქვეშ გასთელა ვერსალის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ლოკარნოს შეთანხმება და შეიყვანა ჯარები რეინის ოლქში: იგი უკვე გადავიდა ტერიტორიების დაპყრობაზე. მან მოახდინა ავსტრიის ოკუპაცია. იგი ემუქრება ჩეხოსლოვაკიას, ფაშისტურ იტალიასთან ერთად უკვე ორი წელიწადია აწარმოებს ომს ესპანეთის წინააღმდეგ და ამზადებს საფრანგეთზე თავდასხმას პირენეის ნახევარკუნძულიდან. პოლონეთი აშკარად ჩაება ჰიტლერის ავანტიურისტულ პოლიტიკაში. ბელგიამ გამოაცხადა თავისი „ნეიტრალიტეტი“ მომავალ ომში. ამით მან შეასუსტა თავდაცვის შესაძლებლობანი საფრანგეთისათვის და თვითონაც არა აქვს თავისი უშიშროების არავითარი გარანტია, გარდა გერმანელ ფაშისტთა „პატიოსანი სიტყვისა“.

პოლონეთი ფაშისტურ გერმანიასთან ერთად პროვოკაციას უწყობს ლიტვასა და ჩეხოსლოვაკიას, თავს უყრის თავის ჯარებს ამ ქვეყნების საზღვრებთან და ყოველნაირად ცდილობს გადაიბიროს ფაშისტ აგრესორთა მხარეზე რუმინეთი, დაამყაროს ამ უკანასკნელთან მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობა.

ასე გამოიყურება ომისშემდგომი „წონასწორობა“ ევროპაში.

ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულება, რომელიც 1922 წელს ვაშინგტონში დაიდო „წონასწორობის“ დასამყარებლად აღმოსავლეთში, წყნარი ოკეანის ბასეინში, და რომელიც იძლეოდა ჩინეთის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის გარანტიას, ფაქტიურად აგრეთვე აღარ არსებობს. პირველად ეს ხელშეკრულება დარღვეულ იქნა 1931 წლის სექტემბერში მანჯურიაში იაპონელ დამპყრობთა შეჭრით. გასული წლის ივლისში იაპონიის იმპერიალიზმმა ლიუკოუძიაოსთან მოწყობილი პროვოკაციით დაიწყო ფართო ომი ჩინეთის წინააღმდეგ.

ერთა ლიგამ, რომელიც შეიქმნა როგორც ომისშემდგომი კაპიტალისტური „უფლებრივი წესრიგის“ გუშაგი, თავისი დანიშნულება ვერ შეასრულა. მის წესდებაში არის სტატიები, რომელთა ნამდვილად გამოყენება მალე ალაგმავდა აგრესორებს. მაგრამ დიდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოთა — ლიგის მონაწილეთა — წაყრუების შედეგად მან დაუშვა აბისინიის დაპყრობა, ჩინეთში შეჭრა, ფაშისტური ინტერვენცია ესპანეთში, ავსტრიის დაკავება.

ფაშისტი აგრესორები რომლებიც სულ ახალ-ახალი დაპყრობებისაკენ მიისწრაფვიან, ოცნებობენ აგრეთვე იმაზე, რომ თავს დაესხან საბჭოთა კავშირს, ჩამოჰგლიჯონ მას ვრცელი ტერიტორიები. ბანდიტთა, ჯაშუშთა და გამცემელთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ პროცესმა ცხადჰყო, თუ საითკენ არის მიმართული ფაშიზმის მტაცებლური გეგმები. ყველა ქვეყანაში, რომელთა წინააღმდეგ ფაშისტები აგრესიას ამზადებენ, მოქმედებს მათი საზიზღარი აგენტურა, ტროცკისტებისაგან და კაცობრიობის სხვა ნაძირალებისაგან შემდგარი.

იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც ომი არ სურთ და დაინტერესებული არიან საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნებით, ძნელი არ იქნებოდა დაერღვიათ ფაშისტური შეთქმულება მიმართული ხალხთა ცხოვრებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. საკმარისია გამოვიანგარიშოთ იმ უდიდესი კაპიტალისტური ქვეყნების ძალები და შესაძლებლობანი, რომელთა წინააღმდეგაც იარაზმება ავაზაკური „სამკუთხედი“: გერმანია-იტალია-იაპონია. მოსახლეობის რაოდენობითაც, ნედლეულის მარაგითაც, თავდაცვითი მრეწველობის სიდიდითაც და ფინანსიური შესაძლებლობებითაც ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ფაშისტ აგრესორებზე უფრო ძლიერი არიან.

ამა წლის 17 მარტს ამხ. ლიტვინოვმა თავის საუბარ-განცხადებაში უცხოეთისა და საბჭოთა პრესის მუშაკებს (განცხადებაში, რომელიც სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა, სათანადო მთავრობებს აუწყეს) მიუთითა იმის აუცილებლობაზე, რომ დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას კოლექტიური ზომები აგრესორის ასალაგმავად. ეს მიმართვა, რომელიც წარმოადგენს მშვიდობიანობის იმ გადამჭრელი და უცვლელი სტალინური პოლიტიკის ლოგიკურ შედეგს, რასაც საბჭოთა კავშირი ატარებს, პირველ რიგში მიმართული იყო დიდი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფოებისადმი. მაგრამ ზოგმა მათგანმა, როგორც ინგლისმა, უარი განაცხადა, ზოგმა კი პასუხი გასცა დუმილით, ესე-იგი იმავე უარით.

დანარჩენი ცნობილია. ინგლის-იტალიის მორიგებამ აბისინიისა და რესპუბლიკური ესპანეთის ხარჯზე და ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიის კაპიტულანტურმა ქცევამ ერთა ლიგის საბჭოს მე-101 სესიაზე მხოლოდ გაამხნევა ფაშისტი აგრესორები. რომში შეხვედრისას მაისის დამდეგს ჰიტლერმა და მუსოლინიმ გაინაწილეს „გავლენის სფეროები“ სამხრეთ - აღმოსავლეთ ევროპაში, დროებით განზე გადასდეს რა თავისი უთანხმოებანი დუნაის და ბალკანეთის ქვეყნების გამო. რომშივე მიღებული იქნა გადაწყვეტილებანი ესპანეთში ინტერვენციის გაძლიერების, იტალიის მიერ ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ გერმანიის აგრესიისათვის მხარის დაჭერის, საფრანგეთის წინააღმდეგ ახალი შანტაჟის მოწყობის შესახებ. ყველა ეს ფაქტი შემდეგში გამოაშკარავებულ იქნა მსოფლიო პრესის მიერ.

მეტიც. ინგლისის მთავრობის ქცევამ რესპუბლიკური ესპანეთის ნავსადგურებში ინგლისის სავაჭრო გემების საჰაერო ბომბარდირების საკითხში ცხადჰყო, რომ ინგლისელ რეაქციონერებს სურთ დააჩქარონ ესპანეთში ომის დამთავრება, მიაღწიონ რაც შეიძლება მალე ფაშისტ მეამბოხეთა და ინტერვენტთა გამარჯვებას, ესპანელი ხალხის წახრჩობას. საფრანგეთის მთავრობამ აღარ დაუცადა ესპანეთის საზღვრების კონტროლის შესახებ ჩაურევლობის კომიტეტის გადაწყვეტილებათა მიღებას და ლონდონის დაჟინებული მოთხოვნით სასწრაფოდ დახურა ხმელეთის საზღვარი ესპანეთის იმ რაიონებთან, სადაც ხელისუფლება რესპუბლიკელთა ხელშია.

არცერთ ხალხს არ სურს ომი. აბისინიის, ესპანეთისა და ჩინეთის მაგალითი აიძულებს მშვიდობიანობის ყველა მეგობარს, ფაშიზმისა და ომის ყველა მოწინააღმდეგეს მჭიდროდ დაირაზმონ ფაშისტ აგრესორთა და მათ ხელშემწყობთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ყველგან ფართოვდება და მტკიცდება მშვიდობიანობისათვის ბრძოლის ეს ბანაკი. საფრანგეთში მუშათა კლასი შემჭიდროვდა სახალხო ფრონტის რიგებში გლეხობასთან და ქალაქის მცხოვრებთა საშუალო ფენებთან ერთად. ინგლისში სულ უფრო და უფრო მეტ წარმატებებს აღწევს დემოკრატიული მოძრაობა მშვიდობიანობისათვის. ჩეხოსლოვაკიაში ხალხის მასებმა გამოიჩინეს სრული ერთსულოვნება — დაიცვან თავისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება ფაშისტური გერმანიის თავდასხმისაგან. ფაშისტურ პოლონეთში მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ გადაიარა გლეხთა მიტინგებისა და დემონსტრაციების ტალღამ, რომლებშიაც მონაწილეობდა მილიონზე მეტი კაცი, ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით.

თავიანთ ბრძოლაში ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ მთელი მსოფლიოს ხალხთა მასები აღფრთოვანებული არიან ესპანეთისა და ჩინეთის გმირი ხალხების მაგალითით, იმ ხალხებისა, რომლებიც იარაღით ხელში უწევენ წინააღმდეგობას აგრესორებს. „იარაღი რესპუბლიკური ესპანეთისათვის!“, „ბოიკოტი იაპონიას!“, — ეს ლოზუნგები სულ უფრო და უფრო ხმამაღლა გაისმის ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში.

თავიანთ ბრძოლაში ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ მთელი მსოფლიოს ხალხთა მასები აღფრთოვანებული არიან გამარჯვებული სოციალიზმის მძლავრი ქვეყნის მშვიდობიანი პოლიტიკით. საბჭოთა კავშირი, რომელსაც ხელმძღვანელობს ადამიანთა შორის უდიდესი, ბრძენი სტალინი, გახდა მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობის დასაყრდენი, ახალი კულტურის, ახალი ყოფის, ახალი ცხოვრების განსახიერება, ახალი ადამიანური, სოციალისტური თანაცხოვრების პირველსახე. ამ ახალი საზოგადოების თვისებები იქმნება, მრავალი, უაღრესად მკაფიო ფაქტებისა და მონაცემებისაგან: ჩკალოვის, გრომოვისა და კოკინაკის, პაპანინელებისა და სტახანოველების, გილელსისა და ფლიერის გამარჯვებათაგან. ეს თვისებები განსახიერებულია სტალინურ კონსტიტუციაში, რომლის დროშის ქვეშ უმაგალითო ერთსულოვნებით ჩატარდა ჩვენს ქვეყანაში მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნები. ამ არჩევნებმა ბრწყინვალე გამარჯვება არგუნა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურ ბლოკს.

სსრ კავშირი — მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლო—წარმოადგენს მშვიდობიანობის დასაყრდენს მთელ მსოფლიოში. ჩვენი დიადი საბჭოთა ხალხი, მიდის რა მშვიდობიანობისათვის ბრძოლის ავანგარდში, ძმური ინტერნაციონალიზმის გრძნობებს აერთებს ულრმეს, მგზნებარე პატრიოტიზმთან. და თუ მიუხედავად საბჭოთა კავშირის მეცადინეობისა მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის, აგრესორები მაინც მოახერხებენ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის გაჩაღებას, ომის გამჩაღებლები ორგზის მოსტყუვდებიან ანგარიშში. საბჭოთა საზღვრების გადმოლახვის მცირეოდენ ცდაზევე მტერი მიიღებს გამანადგურებელ პასუხს, და როდესაც ის უკუიქცევა, მას ბოლოს მოუღებენ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელნი.

პარტიული ცხოვრება

პოლიტწრეს ხელმძღვანელი არა ჰყავს

ტრამვაის მეურნეობაში 15 პარტპოლიტსკოლა არსებობს. მათგან მოწინავეთა რიგებში ჩადგა 3 პოლიტსკოლა, რომელთა პროპაგანდისტები არიან ამხ. ბიბინეიშვილი, ვ. შუბლაძე და საგინაშვილი. ამ პოლიტსკოლებმა შესძლეს გაცდენა-დაგვიანების მოსპობა, თვითეული მსმენელი უზრუნველყოფილია საჭირო სახელმძღვანელოებით. სამეცადინო ოთახში აქვთ საჭირო რუკები და დიაგრამები; ყოველ მეცადინეობაზე მსმენელები მომზადებული ცხადდებიან, სათანადო კონსპექტებით; მეცადინეობის დროს იყენებენ ცოცხალი საუბრისა და კითხვა-პასუხის მეთოდს.

მოეწყო ექსკურსიები; მსმენელებმა დაათვალიერეს სტალინის სამშობლო ქალაქი გორი, ავლაბრის რესტავრირებული სტამბა და ვ. ი. ლენინის მუზეუმის ფილიალი; ასეთი მუშაობით აღნიშნულ პოლიტსკოლების მსმენელნი მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ. კარგ მსმენელებად ითვლებიან ამხ. ქ. კანდელაკი, შ. მაცაბერიძე, მ. მაისურაძე, სლატინსკი, ულიხანოვი, სააკოვი, ექსანიშვილი, ღარიბაშვილი და ბასინჯაგოვა.

ამ ბოლო დროს პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელის ამხ. ბიბინეიშვილის შვებულებაში წასვლის გამო 3 მეცადინეობა გაცდა, რადგან დროზე არავინ იზრუნა ბიბინეიშვილის შემცვლელი კაცის გამონახვისათვის. ამჟამადაც ხელმძღვანელი არა ჰყავს, რაც წრეს დაშლის საფრთხის წინაშე აყენებს. საჭიროა ტრამვაის პარტკომმა მალე წამოაყენოს პროპაგანდისტი.

არიან ჩამორჩენილი პოლიტსკოლებიც, მაგალითად, საკანდიდატო პოლიტწრე რომლის ხელმძღვანელია ამხ. გაზაროვა (რუსული ჯგუფი) და დაწყებითი პოლიტწრე, (ხელმძღვანელი — ამხ. გიორგობიანი).

ამ პოლიტსკოლების მუშაობის მეთოდები ცუდია, არ ეწყობა ცოცხალი საუბრები, არ ხდება განვლილი მასალის შეთვისების შემოწმება, არ ეწყობა ექსკურსიები, მსმენელები მოუმზადებლად ცხადდებიან მეცადინეობაზე, კონსპექტებს არ ადგენენ, სუსტია დისციპლინა.

საჭიროა მეტი ხელმძღვანელობა გავუწიოთ ჩამორჩენილ პოლიტსკოლებს. ჩამორჩენილ მსმენელებს უნდა მივამაგროთ მოწინავე ამხანაგები. უმიზეზოდ დაკლება უნდა აღმოიფხვრას და მსმენელები უნდა მივაჩვიოთ, რომ წინასწარ გულდასმით ემზადებოდნენ მეცადინეობისათვის. შევისწავლოთ თვითეული ჩამორჩენილი მსმენელის ყოფა-ცხოვრება, გამოვარკვიოთ რით არის გამოწვეული მათი ჩამორჩენა და აღმოვუჩინოთ ჯეროვანი დახმარება.

ტრამვაის პარტკომმა უფრო კონკრეტულად უნდა უხელმძღვანელოს პარტგანათლების საქმეს.

გრ. რაზმაძე

პარტორგ ამხ. ტ. ჭელიძეს დაავიწყდა დადგენილებათა შესრულება

ამბროლაურის რაიონის ზოგიერთ პირველადს პარტორგანიზაციაში ზემდგომი პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული კრების დადგენილებათა შესრულების შემოწმებას ყურადღებას არ აქცევენ. ამით აიხსნება, რომ ამ ორგანიზაციებში მრავალი ღირსშესანიშნავი დადგენილება ცხოვრებაში გაუტარებელი რჩებათ.

მაგალითად, ახალი სოფლის კოლმეურნეობა „შრომის სხივთან" არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების ინსტრუქციის დამუშავებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ მაისის პირველ რიცხვებში მიიღო დადგენილება, სადაც სწერია: 1. დაევალოს პარტორგს შემოიღოს პარტწევრ-კანდიდატებისათვის მიცემულ დავალებათა აღრიცხვის რვეული და სისტემატურად მოახდინოს შესრულების შემოწმება. 2. დაევალოს მასვე გააძლიეროს საგიტაციო - მასობრივი მუშაობა კოლმეურნე მასებში. პერიოდულად მოისმინოს აგიტატორების მოხსენება ჩატარებულ მუშაობაზე და მისცეს მათ სათანადო პრაქტიკული მითითებანი. 3. სათანადო სიმაღლეზე იქნას დაყენებული პარტიული სწავლება და პოლიტწრის უმიზეზოდ გაცდენილი მეცადინეობა მოკლე დროში იქნას აღდგენილი და სხვ.

დადგენილებაში სულ 10 მუხლი არის შეტანილი.

შემოწმებიდან გამოირკვა, რომ ამ ორგანიზაციის პარტორგს ამხ. ტ. ჭელიძეს დავიწყებია აღნიშნული ღონისძიების გატარება.

პარტიულ დავალებათა აღრიცხვის რვეული ჯერ კიდევ არ შემოუღიათ. საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდეგ საგიტაციო-მასობრივი მუშაობა სრულიად შეუწყვეტიათ. პოლიტწრის მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევებმა კიდევ უფრო იმატა. კომკავშირის ორგანიზაცია მოკლებულია პარტიულ ხელმძღვანელობას და ამიტომაც მისი მუშაობა სუსტია. მივიწყებულია აგრეთვე ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა. პარტორგი დღემდე არ ცდილა პარტორგანიზაციასთან თანამგრძნობთა ჯგუფის ჩამოყალიბებას, თუმცა თანამგრძნობთა ჯგუფში მისაღები ადამიანები კოლმეურნეობაში მრავალია. პარტიის რიგების ზრდაზედაც თავს არავინ იწუხებს. პარტიაში ახალ წევრთა მიღების განახლებიდან დღემდე პარტიაში წევრად გადარიცხეს მხოლოდ ერთი კაცი და ამდენივე მიიღეს პარტიის წევრობის კანდიდატად.

ახალი სოფლის კოლმეურნეობა „შრომის სხივთან" არსებული პარტორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელი ამხ. ტ. ჭელიძე სუსტად იბრძვიან პარტიული კრების დადგენილებათა შესრულებისათვის.

ივ. ყურულოვი

პარტკომის მდივნის მოადგილენი

პარტკომის მდივნის მოადგილენი კომიტეტის სხდომებს ესწრებიან, საკითხების გარჩევაში მონაწილეობენ; გარდა ამისა, პარტიულ დავალებებსაც ასრულებენ, ერთი პარტჯგუფორგია, მეორე — აგიტატორია თავის საამქროში...

ამ საზღვრებს არ შორდება თბილისის მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის ფაბრიკის პარტორგანიზაციაში პარტკომის მდივნის მოადგილეთა მუშაობა. აქ ყველაფერს პარტკომის მდივანი ამხ. ძურძუკი აკეთებს, ყველა სამუშაო მას აქვს წამოკიდებული: პარტიული კრების მომზადება, ახალი საკითხების წამოყენება, მოხსენება, პარტიული დავალებების განაწილება, აქტივთან მუშაობა, პარტწრის მოწყობა. პარტკომის მდივნის მოადგილენი არავითარ მონაწილეობას არ იღებენ ზემოდ ჩამოთვლილ საკითხების მომზადებაში. მათ არავინ ავალებს მოამზადონ პარტიული კრება, გაანაწილონ პარტიული დავალებები, შეუწყონ ხელი აგიტაციის გაშლას ფაბრიკაში, მოაწყონ შესრულების შემოწმება... მოამზადონ მოხსენება კრებისათვის და სხვ.

ავეჯეულობის ფაბრიკის პარტკომის მდივნის მოადგილეებმა ამხ. გ. ცხომელიძემ და მურადოვმა საერთოდ არ იციან რას უნდა აკეთებდნენ გარდა იმისა, რომ როგორც პარტკომის მდივნის მოადგილენი კომიტეტის სხდომას დაესწრებიან და პარტიულ დავალებას შეასრულებენ.

ამასწინათ, როდესაც ცხომელიძეს შეეკითხნენ, როგორ მუშაობს პარტკომის მდივანი თქვენთან (მოადგილეებთან), როგორ გაჩვევთ იგი პარტიულ ორგანიზაციის ხელმძღვანელობის საქმეში, მან ასეთი პასუხი გასცა:

— კაცმა რომ სთქვას, ამ მხრივ ჩვენთან, პარტკომის მდივნის მოადგილეებთან ჯერჯერობით არაფერი კეთდება და არც ფუჭდებაო.

ზოგჯერ ისე გაივლის დღეები, რომ პარტკომის მდივნის მოადგილენი კომიტეტის მდივანთანაც კი არ შეივლიან.

— როდესაც პარტკომის მდივანი აქ არის, — ამბობს ცხომელიძე, — ჩვენ — მოადგილეებს არაფერი გვეკითხება, არავინ გვავალდებულებს მოვამზადოთ საკითხები კომიტეტის სხდომისათვის ან საერთო კრებისათვის. თითქმის ყველაფერს, რაც საჭიროა პარტორგანიზაციის მუშაობისათვის, პარტკომის მდივანი მარტო აკეთებს. ჩვენ მხოლოდ კომიტეტის სხდომაზე დავესწრებით და მონაწილეობას მივიღებთ საკითხების გადაჭრაში.

პარტკომის მდივანი იმით კმაყოფილდება, რომ ჩვეულებრივ, როგორც წესი, თავის მოადგილეთ (როგორც კომიტეტის წევრებს) ისწრებს კომიტეტის სხდომებზე, აცნობს საკითხებს, რომელნიც პარტორგანიზაციის მუშაობის დღისწესრიგში სდგას და მათი თანხმობით სწყვეტს მას. ხოლო პარტკომის სხდომებზე და ასევე პარტიულ კრებებზე „მომხსენებლად" ყოველთვის პარტკომის მდივანი გამოდის. ჯერ აქ არ ახსოვთ ისეთი შემთხვევა, რომ პარტკომის რომელიმე მოადგილეს ესა თუ ის საკითხი პარტკომის სხდომაზე ან საერთო კრებაზე განსახილველად მოემზადებინოს და წამოეყენებინოს.

ერთხელ პარტკომის მდივნის ავადმყოფობის გამო, ცხომელიძეს მოუხდა ფაბრიკაში დროებით პარტკომის მდივნობა გაეწია. მან გაბედულად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. მაგრამ გამოუცდელობის გამო ერთბაშად მისთვის ძნელი შეიქნა პარტიული ხელმძღვანელობის რთული ტექნიკის შესწავლა. სულ უმნიშვნელო წვრილმანებიც კი მისთვის გაურკვეველი აღმოჩნდა. მაგალითად, მან აქამდე არ იცოდა პარტიის რამდენი წევრ-კანდიდატი ირიცხებოდა ორგანიზაციაში, კომიტეტის წევრებს რა დავალებები ჰქონდათ. მან არ იცის, როგორ უნდა განაწილდეს მუშაობა პარტკომის წევრთა შორის, როგორ უნდა გამოიყენოს პარტმასობრივი მუშაობის გაშლაში პარტიული აქტივი.

როდესაც მას უთხრეს, რომ პარტკომის ყოველი წევრი, გეგმის თანახმად, ყოველმხრივ უნდა ამზადებდეს საკითხებს პარტკომის სხდომისა ან კრებისათვის, მხრები აიჩეჩა და სთქვა: „დღემდე ეგ ჩვენ არ ვიცოდითო".

პარტკომის მდივნის პირველი მოადგილე ამხ. ცხომელიძე, როგორც თვითონ ამბობს, ამავე დროს არის საამქროს პარტჯგუფორგანიზატორი. ხოლო მეორე მოადგილეს ამხ. მურადოვს დავალებული აქვს აგიტაციის ჩატარება თავის საამქროში. არც ერთი და არც მეორე ცუდად არ მუშაობს, მაგრამ პარტკომის მდივნის მოადგილე ხომ არ კმარა მარტო აგიტატორობას ეწეოდეს, ხომ არის საჭირო, ამხ. მურადოვმაც, რომელიც პირველადაა არჩეული პარტკომის შემადგენლობაში, გარდა აგიტატორობისა შეისწავლოს პარტმუშაობის სხვა საკითხებიც?

რა თქმა უნდა საჭიროა და აუცილებელიც, მაგრამ რატომღაც ამ საკითხზე ჯერჯერობით ფაბრიკის პარტკომის მდივანს ამხ. ძურძუკს სერიოზულად არ უფიქრია.

ახალი კადრების დაწინაურებისათვის აქ ცოტას ზრუნავენ, ხოლო დაწინაურებულთა დახმარება სულ მივიწყებულია. ფაბრიკის პარტკომის მდივანმა უნდა იმუშაოს თავის მოადგილეებთან. იგი ვალდებულია შეასწავლოს მათ პარტიული ხელმძღვანელობის რთული ტექნიკა, გამოაწრთოს ისინი პარტიულ მუშაობაში. მოადგილეებს უნდა მოამზადებინოს პარტიული კრება, მათ დაავალოს მოხსენების გაკეთება, შეაჩვიოს საკვანძო საკითხების განხილვას და სწორი დადგენილების გამოტანას. პარტკომის მდივანმა აგრეთვე განსაკუთრებით უნდა იზრუნოს მათი იდეური დონის ამაღლებისათვის, მათში ბოლშევიკ-ხელმძღვანელის ჩვევების შთანერგვისა და განმტკიცებისათვის, რათა ისინი გახდნენ პარტკომის მდივნის ნამდვილი მოადგილენი.

ალ. გვინჩიძე

პირველობა არ გაუშვათ ხელიდან

ამხანაგ სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხანასთან არსებულ პარტორგანიზაციას პოლიტგანათლების საქმე სანიმუშოდ ჰქონდა დაყენებული. პოლიტსკოლებმა დროულად ამოსწურეს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემები. ამის შემდეგ მოეწყო მსმენელთა გამოშვება.

პოლიტცოდნის წრე დაამთავრა 135-მა ამხანაგმა. ამჟამად ისინი ყველანი გადაყვანილი არიან საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ წრეში. ასევე საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების გამოშვების შედეგად 68 ამხანაგი გადაყვანილ იქნა მაღალი საფეხურის წრეებში.

გამოშვებამ ცხადჰყო გასულ სასწავლო წელს არსებული საგრძნობი დეფექტები. მსმენელებს საკმარისად არ ჰქონდათ სახელმძღვანელო ლიტერატურა, განსაკუთრებით საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში. ყველა პოლიტსკოლა არ იყო უზრუნველყოფილი შესაფერი ბინებითა და განათებით. გარდა ამისა, ყველა პოლიტსკოლა სწორად არ იყო დაკომპლექტებული. მაგალითად, მსმენელთა გამოშვების დროს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრიდან 17 ამხანაგი გადაყვანილ იქნა უფრო დაბალი საფეხურის პოლიტსკოლაში, 6 ამხანაგი — პოლიტცოდნის წრიდან წერა-კითხვის მცირემცოდნეთა სკოლაში და ა. შ.

დაიწყო საქმიანი მზადება ახალი პარტწრეებისა და პოლიტსკოლების ორგანიზაციისათვის.

ამჟამად ჩამოყალიბებულია პოლიტცოდნის 11 სკოლა, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი 12 წრე, მაღალი ტიპის 3 წრე საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესასწავლად და ლენინიზმის 2 წრე. ლენინიზმის წრეები წელს პირველად არის ჩამოყალიბებული. მთელ ქსელში ჩაბმულია 741 მსმენელი, მათ შორის 121 თანამგრძნობი და 7 უპარტიო.

ყველა პროპაგანდისტი უზრუნველყოფილია საჭირო ლიტერატურით და სემინარებით. პროპაგანდისტთა შორის 10 ახლად დაწინაურებულია. გასულ სასწავლო წელს თვითონ ისინი მსმენელებად იყვნენ, ამხ. მ. თათარიშვილმა, ლ. ჭიჭინაძემ, ნ. კირაკოზოვმა უკვე ჩაიბარეს პოლიტწრეები და დაიწყეს მუშაობა, დანარჩენი 7 კი ამ დაწინაურებული ამხანაგებიდან პროპაგანდისტთა სარეზერვო ჯგუფშია.

3 ივლისს 23 პოლიტწრემ ჩაატარა პირველი საორგანიზაციო მეცადინეობა.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ - სარემონტო ქარხანასთან არსებული პარტორგანიზაციის პოლიტგანათლების ქსელი გასულ წელს სანიმუშო იყო მთელ რაიონში. პირველობა მან წელსაც არ უნდა გაუშვას ხელიდან.

ლ. გვარამაძე

ფრიადოსანი - არტილერისტები პრაქტიკულ მეცადინეობაზე.

ფოტო ნ. სოლოვიოვისა

★

გიორგი ქუჩიშვილი

არ გვინდა ომი!

არ გვინდა ომი!
მაგრამ მაინც თუ აგვიტეხეს,
თუ შეტევაზე წამოვიდა
ვერაგი მტერი,
თავს დავატყდებით
ბოლშევიკურ მრისხანე მეხად,
რომ აღარ დარჩეს მათი ძვლების
ბინძური მტვერი.

ჩვენთან არიან ყველა ქვეყნის
მშრომელი ძმები,
ჩვენს დაძახილზე ჩვენთან ერთად
აღიძვრებიან;
აღენთებიან საშინელი შურისძიებით
და მრისხანებით კლასობრივ მტერთ
ეკვეთებიან!

მუსრი ტირანებს!
მუსრი ფაშიზმს
და მის დამცველებს!
მსოფლიოს ცაზე
მილიონები საბრძოლველად
ჰკუმშავენ ხელებს,
ვინ შეაჩერებს მათ მსვლელობას
ოქტომბრის გზაზე?!

გურჯაანში გრძელდება კოლმეურნეთა უკანონოდ გარიცხვა

გურჯაანის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების — კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთა უკანონოდ გარიცხვის აკრძალვის შესახებ. ზოგიერთი კოლმეურნეობა არამც თუ ასწორებს დაშვებულ შეცდომებს, პირიქით, კიდევ განაგრძობს კოლმეურნეთა მასობრივ გარიცხვას. სოფელ კარდანახის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე კ. შეყილაძე) არ არის გამგეობის თითქმის არც ერთი ოქმი, სადაც არ იყოს დასმული საკითხი „უდისციპლინო" კოლმეურნეთა შესახებ. ხშირად ოქმში სწერია: „იმის გამო, რომ მან არ შეასრულა გამგეობის მიერ მიცემული გაფრთხილება, გაირიცხოს კოლმეურნეობიდან". „იმისათვის, რომ ის არ გამოცხადდა სამუშაოზე, ჩამოეჭრას 7 შრომადღე", „გაირიცხოს კოლმეურნეობიდან და საქმე კი გადაეცეს რაიპროკურორს" და სხვ.

განსაკუთრებით ხშირია ასეთი გამოთქმები: „გადაეცეს პროკურორს", „მილიციას", „სასამართლოს", „გამომძიებელს" და ა. შ. ერთერთ ოქმში (№ 16), 1938 წლის 30 მაისის თარიღით ნათქვამია: „რადგან შაქრო ღვინიაშვილი უარს აცხადებს სამუშაოდ გასვლაზე და სიმულიანტობს, ამისათვის გაირიცხოს კოლმეურნეობიდან, ჩამოეჭრას 7 შრომადღე და საქმე კი გადაეცეს სახალხო სასამართლოს".

სოფ. კარდანახის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობის ნათელსაყოფად დავასახელებთ კიდევ ერთ მაგალითს. აქ კოლმეურნეობიდან გარიცხეს ნიკო მღვდლიაძე. მისი გარიცხვის შესახებ დადგენილებაში ნათქვამია: „გაირიცხოს იმიტომ, რომ მან უარი განაცხადა საბჭოში აღმასრულებლად წასვლაზეო".

მსგავს მაგალითებს ვხვდებით აგრეთვე ბაკურციხის კოლმეურნეობა „კახეთში" და ბერიას სახელობის კოლმეურნეობაშიაც. მაგრამ რაიონული ორგანიზაციების მიერ მიღებულ ზომებს აქამდე ვერ ვხედავთ. მიწგანიც დღემდე არ იღებს გადაჭრელ ზომებს ყველა კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ურყევად გასატარებლად.

ალ. ჭიჭინაძე.

ილო მოსაშვილი

საზღვარი ჩაკეტილია

დილა ბნელია. ზღვა და ცისპირი ერთმანეთზე შელესილან. მოქანავე ტალღები კვალდაკვალ მისდევენ გაქცეულ დედამიწას და დალამულ ნაპირზე ტიტველ ბავშვებივით ჟრიამულით გორაობენ.

ჩვენი კატარღა ნელი გუგუნით გასცილდა მძინარე ყურეს და შუაზღვისკენ აიღო გეზი.

დასავლეთის ქარი წინ ამაოდ ეღობება ჩვენს პატარა ხომალდს, რომელიც ხან ჩერქეზულ უნაგირივით მოექცევა ავარდნილ ტალღას, ხან ზღვის ფრინველივით ჩაქანდება პირღია მორევში.

კატარღის მეთაური ნაცადი მეზღვაურია. იგი ოც წელზე მეტია ზღვებსა და ოკეანეებს უვლის, იცის მათი ჭირვეული ხასიათი და ერთის შეხედვით იცნობს საავდრო ღრუბელს.

— მალე ჩადგება ქარი, თუ არა და — რას დაგვაკლებს, იჯავროს რამდენიც უნდა!.. ჩვენს ფლოტს არც მტრისა და არც ქარიშხალის ეშინია, — მეუბნება ღიმილით და თან დურბინდს მაწვდის:

— აგერ, იმ პატარა წერტილს ხედავთ?

დიდხანს ვუცქირე, მაგრამ ვერაფერი შევამჩნიე.

დურბინდი მოვიმარჯვე. ჩვენს გასწვრივ, შორს, ცისა და ზღვის შესართავს სხვა ხომალდი სერავდა. ამომავალ მზის სხივებზე მისმა ფოლადმა ლურჯად გაიელვა და ტალღებში ჩაიმალა.

— ჩვენი კატარღაა, საზღვარს სდარაჯობს, ზღვასა და ხმელეთს ერთნაირად სჭირდებათ დაცვა, — კანონივით მოკლედ დაადგინა მან და კაბინაში მიმიპატიჟა.

შემოდგომის საღამო იყო, დასავლეთიდან აშლილი ღრუბლები მუქარით მოიწევდნენ ჩვენსკენ. ზღვაზე გაავებული ქარი წუწუნებდა და მთისოდენა ტალღებს ესროდა ჩვენს კატარღას. ბაქანზე დგომა შეუძლებელი გახდა და მეზღვაურები ნავის მუცელში ჩაძვრნენ. მე და ჩემი თანაშემწე კი კაბინას შევეხიზნეთ, საიდანაც ზღვის ზედაპირს — ვუთვალთვალებდით... ზღვის ქაფი კაბინის მინებზე მდუღარესავით შიშხინებდა და ზედ მიტკლის ნაჭრებს ჰკიდებდა... თანაშემწემ ტალღებს შორის მეთევზის პატარა ნავს შეასწრო თვალი. მებადურს ამ დროს ზღვაზე რა ხელი აქვს, — წაილაპარაკა მან და მესაჭეს ჩასძახა: კატარღა ნაპირის გასწვრივ! ზღვის მთიანი სანაპირო ორი მილის მანძილზე იქნებოდა ჩვენგან. მეთევზის ნავი რამდენჯერმე კიდევ შემოჯდა ტალღების ქოჩოზე და ერთბაშად მიიმალა. მე და თანაშემწე დიდის გაჭირვებით გამოვძვერით კაბინიდან. ტალღები ხვედასავით გვირტყამდნენ მუხლებში და ზღვაში გადასროლას გვპირებდნენ. რადიო ანძას მაგრა მოვხვიეთ ხელები და უცნაურ მებადურს ბინოკლებით გავაყოლეთ თვალი. მეთევზის ნავი მარჯვედ ებრძოდა ტალღებს და ნაპირისაკენ მიცურავდა. მას უკანასკნელად მოვკარით თვალი, როდესაც ყალყზე შემდგარმა ტალღამ დაფერდილ სანაპიროზე გაისროლა. ნაპირთან კატარღის მისვლა სახიფათო იყო და ჩვენ პატარა დროშები ავაფრიალეთ. ზღვაში შემოჭრილ ქიმიდან დროშებითვე გვიპასუხეს. ეს ჩვენი მესაზღვრეები იყვნენ... იმავე ღამეს, ჩვენს სანაპირო სადარაჯოში თავით-ფეხამდე გალუმპული ორი „მეთევზე" ჩვენებას აძლევდა სადარაჯოს უფროსს:

— ღმერთი, რჯული... ვთევზაობდით... ქარიშხალმა გამოგვიტაცა თქვენს საზღვარზე... თუ არ გჯერათ აი თევზები.

უფროსი ლეიტენანტი თევზებით სავსე კასრს მიაჩერდა, მაგრამ თევზები სდუმდნენ.

და როდესაც მან ერთ მათგანს უბიდან მთელი დასტა საბჭოთა ფულის ნიშნები ამოაცალა, „მეთევზეებიც" ერთბაშად დადუმდნენ...

— ასე მოიპარებიან, მოძვრებიან ჯაშუშები და დივერსანტები ჩვენს ქვეყანაში. განსაკუთრებით ქარიშხლიან და ნისლიან ზღვასა და ცას ეტანებიან, ან როდესაც ღამის შავს ნაბადს წამოისხამს ქვეყანა... მაგრამ დღეცა და ღამეც ფხიზლადაა ჩვენი საზღვარი, ჩვენს ბადეს ვერცერთი „მებადური" ვერ წაუვა, — ღიმილით დაამთავრა მეთაურმა.

ქარმა თანდათან იკლო, მაგრამ ზღვა მაინც სდუღს, მოქნეული ტალღა პალუბის ჯაჭვებს აჟღარუნებს და ცივი ხრიალით ზღვასვე უბრუნდება.

კატარღა ნაპირისაკენ მიცურავს. კაბინის ფანჯარაში თანდათან მკაფიოდ იხაზება ფორთოხლის ბაღებში გახვეული სოფელი და შიგ შეჭრილი ზღვის პატარა ყურე.

საზღვაო-სანაპირო რაზმის „ნ"-ური რაზმის მესაზღვრე სტალინურ ვახტაზე.

ფოტო მ. რიჟაკის („სოიუზფოტო").

★

ბაქანზე პატარა დროშები აფრიალა მეზღვაურმა. სანაპიროზე წითელარმიელები გამოიშალნენ, ზღვაში პატარა ნავი შემოაგდეს და ჩვენსკენ წამოვიდნენ.

კატარღა ყურეში გაჩერდა. საზღვაო საზღვრიდან — სახმელეთო საზღვარზე გადავედით.

უბრალო, გამოუცდელი თვალიც მაშინვე ატყობს ორი სხვადასხვა ქვეყნის მიჯნას. ეს მიჯნა უხილავ ზოლივით მიჰყვება ნარინჯისა და ფორთოხლის ბაღებით დაფენილ ფერდობებს, ხევებსა და ტყით შემოსილ ქედებს.

ცალ მხარეს ხალისიანი ფუსფუსია ეზოებში, ყანებში და ბაღებში... მეორე მხარეს რაღაც უცნაური დუმილი და ნაღვლიანი უკაცურობა, თითქო მიტოვებული ქოხები დიდი ხნის წასულ პატრონს ელიან.

აგერ ფერდობზე, კოლმეურნე-ქალები თეთრ თავსახვევებს აფრიალებენ სიმინდის ყანაში. აქეთ — ვაჟკაცები შესჯიბრებიან მთოხნელ ქალებს. ქედზე ზღვის ქარი ატკაცუნებს შეფოთლილ ტოტებს და მათი მხიარული გადაძახილი საზღვარს გადაღმა მიაქვს.

იქით კი — მოსაწყენი სიჩუმე... გვერდზე წასაქცევად გადახრილ ქოხის ეზოში ფეხშიშველი დედაბერი თავაუღებლად სჩიჩქნის საბოსტნე მიწას და გველივით დაკლაკნილ ბილიკზე მიტოვებული ძროხა ბღავილით ეძახის პატრონს...

ჩვენი მესაზღვრე სადარაჯო ყვავილების კლუმბებში და ნარინჯის მწვანე ბაღში გახვეულა. ხალიჩასავით ფერადებით ნაქსოვ ეზოში წითელარმიელები ძელზე და ღერძზე ვარჯიშობენ. მზით შეღებილ მკლავებში ნელნელ აგორდებიან ვეება რკინის ბურთები, მერე ერთმანეთში შეიკუმშებიან, თითქო სხეულიდან ამოვარდნას აპირებენ და თასმასავით მოქნილ საკუთარ ტანს ჭერში შეისვრიან. ვაჟკაცის მუჭაში მოქანცული რკინის ღერძი კი კაცის ძვალივით იღუნება და კვნესის.

წითელარმიელების მეორე წყება ლენინის ოთახში მეცადინეობს. მაღალსა და განიერ თაროებზე ლენინისა და სტალინის ტომები აწყვია. წითელარმიელი კომორგი საერთაშორისო საკითხებზე ატარებს საუბარს: ფაშისტური ინტერვენცია ესპანეთში, ჩინელი ხალხის გმირული ბრძოლა იაპონელ მოძალადეებთან, საბჭოთა კავშირის უდიდესი როლი მშვიდობიანობისათვის ბრძოლის საქმეში, — აი რაზე მსჯელობენ ჩვენი გმირი მესაზღვრეები დასვენების დროს. ზოგიერთებს კი სძინავთ დიდი მზიანი ოთახის რბილ საწოლებში. ისინი ღამის საგუშაგოდან განთიადისას დაბრუნდნენ, თავისი საყვარელი შაშხანები ერთხელ კიდევ გაწმინდეს, გააკრიალეს და ეხლა ისვენებენ ტკბილი, დამშვიდებული ძილით...

დანარჩენები აქ არ არიან, ისინი საზღვარს გასწვრივ ტყეებში, ხეობებში და კლდიან ნაპრალებში ჩასაფრებულნი ფრთხილად სდარაჯობენ ჩვენი დიდი სამშობლოს წმინდა მიწას.

საზღვრის გასწვრივ ვიწრო ხეობის საცალფეხო ბილიკს მივყვებით მთისკენ. მაღალი ჩადუნა მხრებამდე გვწვდება და ნამიან ფოთლებს სახეზე გვიტყლაშუნებს. ბილიკს გვერდით პატარა, კალმახით სავსე, ანკარა მდინარე ჩამოუდის, რომლის გაღმა უკვე მეზობელ სახელმწიფოს მიწაწყალია.

აქ კაცს ასი თვალი და ყური უნდა ჰქონდეს — გადმომლახველი რომ შეუმჩნეველი არ დარჩეს. ან როგორ უნდა გასწვდეს ყველგან! საკმარისია ერთი ნაბიჯი, შამბნარს შეერევა და...

— ჩვენც შამბნარში დავხვდებით, — მოჭრით მიპასუხებს სადარაჯოს უფროსი.

— ნისლში? ღამეში?

— ნისლშიც, ღამეშიც წინ დავხვდებით!

— ვთქვათ როგორმე გაძვრა, სოფელს შეეფარა...

— იქაც ჩვენი ბიჭები დახვდებიან, — ღიმილით მიპასუხებს ის.

გადავიარეთ ერთი ქედი, მეორე, მესამეს წვერზე მოვექეცით... კაცი ვერსად შევნიშნეთ. მინდა თვალი შევასწრო სადმე ჩვენს მესაზღვრეებს, მაგრამ თვალი ამაოდ დავღალე...

— საქმეც იმაშია, რომ იგი სრულიად შეუმჩნეველი იყოს, თვითონ კი ყველაფერს ხედავდეს. იქვე ჩვენს ახლოს რაღაც კაკუნი მოისმა, გავყუჩდით...

— გესმით?

— დიაღ, — ვუპასუხე.

— ეს ჩვენი ბიჭები გვაშინებენ!..

თვალები დავაცეცე... ბალახი მოვთელე ირგვლივ, ხელიც მოვიშველე... მაგრამ ისევ ამაოდ, ისინი არსად სჩანდნენ...

მზემ მხრებში დაგვიარა და წყაროსთან ჩამოვსხედით.

ამხ. მ-მა პაპიროსი გაახვია და ასანთი გაჰკრა:

— კარგა ხნის წინათ საგუშაგოდან სოფელში შემოვდიოდი, საღამო იყო, — ერთი-ორი შაური გაიმეტეთ, — მომესმა უკანიდან. მივიხედე, ძველმანებში გახვეული მათხოვარი წამოსწეოდა. მოწყალება გაიმეტეთ ღვთის გულისათვის, — განიმეორა მან და წირპლიანი თვალები თვალებში მომაშტერა. ჩაყვითლებულ სახეზე დიდი ხნის მწვირე და ჭუჭყი ჩაჰკვდომოდა. დაგლეჯილ ქალამნებიდან დაკაწრული ფეხის თითები უჩანდა. ხურდა ფული ხელის გულზე დავუყარე და გზა განვაგრძე. მაგრამ მესაზღვრის ჩვეულებამ თავისი გაიტანა და ისევ შევდექ. — საიდან მოდიხართ, ან სადაური ხართ ბიძია, — შევეკითხე. — მეც არ ვიცი საიდან, ჯანდაბიდან, — ძლივს წაილაპარაკა თავისთვის და ისე ამოიოხრა, თითქო გული თან ამოჰყოლაო, — საცაა დაღამდება, სად უნდა გაათიოთ, გამომყევით, — მივმართე... მან უარი სთქვა, მაგრამ მაინც არ მოვეშვი და სადარაჯოში მივიყვანე. როდესაც ვჩხრეკდი, ის გაოცებული მომშტერებოდა, თან კვნესოდა, თითქო რაღაც სტკიოდა აწუხებდა... სიბრალულმა ამიტანა და ის იყო, მისი კონკებიდან თითები ძლივს ამოვაძრე, იატაკზე რაღაც წკარუნი გაისმა. — ოქრო! — წამოიძახა იქვე მდგომმა წითელარმიელმა და ბრჭყვიალა თუმნიანი გამომიწოდა.

— შავი დღისთვის მქონდა შემონახული, — შეჰბღავლა მათხოვარმა და აკანკალებული ხელებით ხელში მეცა. ის ბავშვივით სლუკუნებდა, კვნესოდა და მსხვილი ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა. ჩვენ კი ხელ-ახალ ჩხრეკას შევუდექით და ძველმანების ნაკერებიდან სათითაოდ ამოუღეთ ოქროს რამდენიმე ითეული თუმნიანი და ერთერთ უცხო სახელმწიფოს ქაღალდის ფულის მსხვილი კუპონები... და ეს თვალცრემლიანი „მათხოვარი", რომელმაც პირველად ყველას გული აგვიჩუყა, უდიდესი ჯაშუში აღმოჩნდა.

ხომ ხედავთ, რა ხერხსა და ოინს არ მიმართავს მტერი, რამდენი თვალი და ყური უნდა ჰქონდეს ყველა ჩვენგანს, — დაამთავრა მან და ცივ წყაროს მადიანად დაეწაფა.

სოფელში რომ შევდიოდით, წინ კომკავშირელი ჯემალი შემოგვეყარა, ის მარტო კოლმეურნეობის საუკეთესო ბრიგადირი როდია. ამხ. ჯემალი ჩვენი მესაზღვრეების საუკეთესო თანამებრძოლიც არის. ამ ტყეებსა და ხეობებში თვითეული ბილიკი და გამოქვაბული იცის.

ის სიყვარულით დასტრიალებს ჩაის ბუჩქს და მდინარის სანაპიროს ფრთხილად ზვერავს. ყანაშია და ტყის ბილიკებს უთვალთვალებს, გზაშია და მგზავრებს აკვირდება, ვინ არის და საით მიდის.

ამ რამდენი დღის წინათ გზაში უცნობს შემოეყარა, თვალში არ დაუჯდა. საქმეზე იჩქაროდა, მაგრამ ნაბიჯი შეანელა და შორი-ახლო მიჰყვა.

უცნობმა გზა დააგდო და ბუჩქნარში შეუხვია, ჯემალიც ბუჩქნარს შეერია — და როდესაც მგზავრი ის იყო ტყეს უნდა შეჰფარებოდა, მან მოულოდნელად უცელა გზა და შეუკივლა:

— ხელები მაღლა!

საზღვრის გადამლახველმა ჯიბეზე იკრა ხელი, მაგრამ ჯემალი ფოცხვერივით ეძგერა მას, თვალის დახამხამებაში შებოჭა და ჩვენს მესაზღვრეებთან მიიყვანა...

მტრედისფერი საღამო ეშვება ხეობაში. ჩვენს ცაზე მოწყვეტილმა ვარსკვლავმა საზღვარი გადალახა და დასავლეთისაკენ სხივების ნამსხვრევი გადაყარა. ქვეყანამ დაიძინა. არ სძინავს მხოლოდ საზღვარს, რომელსაც ჩვენი სახელოვანი გმირების ცოცხალი კედელი შემორტყმია.

ის მართლა ჩაკეტილია.

რესპუბლიკური ესპანეთის არმიის ახალი წარმატებები

ესპანეთის ფრონტებზე

(საქდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

აღმოსავლეთის ფრონტი

ესპანეთის ნაციონალური თავდაცვის სამინისტროს 29 ივლისის ოფიციალური ცნობის თანახმად, რესპუბლიკის ჯარი წარმატებით განაგრძობდა შეტევას ებროს ქვემო ნაწილის რაიონში. რესპუბლიკელებმა დაიკავეს სოფელი ვილალბა (განდესის ჩრდილო-დასავლეთით), აგრეთვე მაღლობები და გზაჯვარედინები განდესის დასავლეთით და სამხრეთით. განდესა მთლიანად გარშემორტყმულია რესპუბლიკის ჯარის მიერ. ლევანტის ფრონტიდან სასწრაფოდ მოხსნილი მეამბოხეთა პოლკები, რომლებიც მაროკოელებისა და იტალიელებისაგან შესდგებიან, შეეცადნენ კონტრიერიშებით გაერღვიათ განდესის ალყა, მაგრამ მეამბოხეთა და ინტერვენტთა ეს დამხმარე ძალები რესპუბლიკელებმა შედარებით ადვილად უკუაქციეს და დიდი ზარალი მიაყენეს მათ.

შეტევის ფრონტის ჩრდილო სექტორში რესპუბლიკელებმა მიაღწიეს მდინარე ბატვას. აქ მათ კვლავ იგდეს ხელთ 200-ზე მეტი ტყვე და დიდძალი საომარი მასალა და იარაღი. კერძოდ, რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს სხვადასხვა სამხედრო საჭურველით დატვირთული მატარებელი.

ესპანის საგენტოს ცნობით, რესპუბლიკელთა ჯარებმა თავიანთი შეტევის მეოთხე დღის დამლევს დაიკავეს 650 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, ტყვედ წაიყვანეს მეამბოხეთა და ინტერვენტთა 5 ათასამდე ჯარისკაცი და ხელთ იგდეს სხვადასხვა ყალიბის დიდძალი იარაღი—ტყვიამფრქვევები, მოტორები და სხვადასხვა გვარი საომარი საჭურველი. რესპუბლიკელთა ჯარები, რომელნიც ძლევამოსილად მიიწევენ წინ, განუწყვეტლივ და დაუბრკოლებლად ღებულობენ დამხმარე ძალებს. მდინარე ებროს პონტონური ხიდების უშიშროება უზრუნველყოფილია რესპუბლიკელთა საზენიტო ბატარიისა და თვითმფრინავ-გამანადგურებელთა სიფხიზლით.

ლევანტის ფრონტი

მეამბოხეებმა და ინტერვენტებმა იმ მარცხის შედეგად, რომელსაც ისინი განიცდიან ებროზე, უკვე რამდენიმე დღეა შეაჩერეს ყოველგვარი აქტიური მოქმედება ტერუელ-კასტელიონის ფრონტზე. კიდევ მეტი, რესპუბლიკელთა ჯარები ლევანტის ფრონტზე ნაწილობრივ შეტევაზე გადავიდნენ. რესპუბლიკელებმა ერთერთი გაბედული იერიშით წაართვეს ფაშისტებს მნიშვნელოვანი პოზიციები ბარაკასის სექტორში, ტერუელ-საგუნტოს მთავარ გზასთან. ამ გზის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით, ბეგის-სალადას ხაზზე, რესპუბლიკელთა ჯარებმა მნიშვნელოვნად წასწიეს წინ თავიანთი მოწინავე პოზიციები. შემდეგ ჩრდილო-დასავლეთით რესპუბლიკელებმა დაიკავეს ლოს ნოტალესი და მონსანერა. საჰაერო ბრძოლის დროს, რომელიც გაიმართა რესპუბლიკის ავიაგამანადგურებლებსა და იტალიის „ფიატის" ტიპის 28 თვითმფრინავს შორის, რესპუბლიკელმა მფრინავებმა ჩამოაგდეს ფაშისტების 3 თვითმფრინავი. ერთი იტალიელი მფრინავი ტყვედ წაიყვანეს. რესპუბლიკელთა ყველა ავიაგამანადგურებელი უვნებლად დაბრუნდა თავის ბაზებზე.

სხვა ფრონტებზე განვლილ დღე-ღამეში არაფერი არსებითი მომხდარა.

○

უცხოელთა ავიაცია განაგრძობს წინასწარ მოფიქრებულ თავდასხმას ინგლისის სავაჭრო გემებზე. კერძოდ, უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ფაშისტების თვითმფრინავები რამდენჯერმე თავს დაესხნენ ინგლისის სავაჭრო გემებს, რომლებიც ვალენსიის ნავსადგურში იდგნენ. სამი გემი დიდად დაზიანდა. ეკიპაჟთა შემადგენლობიდან მოკლულია 35 და დაჭრილია 25 კაცი, ეროვნებით უმთავრესად ინგლისელები. გარდა ამისა, მოკლულია ლონდონის „ჩაურევლობის" კომიტეტის საკონტროლო კომისიის მეთვალყურე — ეროვნებით დანიელი. ბომბარდირებას ახდენდნენ კუნძულ მაიორკიდან მოფრენილი თვითმფრინავები.

29 ივლისს დაახლოებით შუადღისას გერმანიის „იუნკერსის" ტიპის 10 სამმოტორიანმა თვითმფრინავმა ქალაქ ფალსეტს (40 კილომეტრზე ტარაგონის დასავლეთით) ესროლა 50 ყუმბარა, რომელთაგან თვითეული 100 კილოგრამს იწონიდა. სამოქალაქო მოსახლეობას შორის მოკლულია 25 და დაჭრილია 70 კაცი.

რესპუბლიკური ესპანეთის გმირი რკინიგზელები

პარიზი, 28 ივლისი (საქდესი). ფრანგული ჟურნალი „რეგარი" ათავსებს ნარკვევს, მიძღვნილს ესპანეთის ხალხის უჩინარ, უსახელო გმირებისადმი, რომლებიც მედგრად და მამაცურად ასრულებენ — თვითეული თავის მცირე თანამდებობაზე — თავის მოვალეობას რესპუბლიკური სამშობლოს წინაშე, რომელიც იგერიებს უცხოელ ფაშისტთა ურდოების შემოსევას. განსაკუთრებით მკაფიოდ სჩანს გმირობა ესპანეთის რესპუბლიკის რკინიგზელთა ყოველდღიურ მუშაობაში. ერთერთ დასახელებულ პუნქტში, რომელიც კატალონიის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, გადმოგვცემს ნარკვევის ავტორი, ფაშისტთა 60 თვითმფრინავი გამოჩნდა. დააყარეს რა ყუმბარები სახლებსა და ქუჩებს, ისინი დაეშვნენ უფრო ძირს და უვლიდნენ წრეს, ეძებდნენ დაუზიანებლად გადარჩენილ სამიზნოს. რკინიგზის ლიანდაგზე დაბის განაპირა უბანში იდგა მატარებელი სამხედრო საჭურველით. ივი შეამჩნიეს ფაშისტმა მტაცებლებმა, მაგრამ რკინიგზელებმა დაასწრეს ფაშისტებს.

იმ რამდენიმე წუთში, როცა ფაშისტთა თვითმფრინავები წრეს უვლიდნენ დაბისა და სადგურის თავზე, რკინიგზელებმა სწრაფად და უფაციფუცოდ დახსნეს ვაგონები და დიდი მანძილით დააშორეს ისინი ერთი-მეორეს. არცერთ მუშას არ უფიქრნია მოეძებნათ თავშესაფარი. ფაშისტთა ყუმბარები ცვიოდა იმ ადგილის გარშემო, სადაც შემადგენლობა იდგა, უკვე მას შემდეგ, რაც ვაგონები ერთმანეთს დაცილებული იყო. ბომბარდირებამ მიზანს ვერ მიაღწია. მთელი საომარი მასალის ტვირთი გადაარჩინეს. ფაშისტთა თვითმფრინავები გაფრინდნენ ისე, რომ ვერაფერი გააწყეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მშვიდობიანი ბინების ბარბაროსულ დანგრევასა და რამდენიმე ქალისა და ბავშვის მოკვლას.

ნარკვევის ავტორმა, რომელიც მოწმე იყო ამ ბომბარდირებისა და რკინიგზელთა ჯგუფის მიერ მატარებლის გადარჩენისათვის გაწეული მუშაობისა, მათი მოქმედების გამო გულწრფელი აღტაცება გამოსთქვა.

ამაში არაფერი განსაკუთრებული არ არის, მორიდებულად უპასუხა ერთერთმა გმირმა რკინიგზელმა. რასაკვირველია, ჩვენ თავს კარგად ვერ ვგრძნობდით, როცა ფაშისტთა თვითმფრინავები თავზე დაგვფრინავდნენ, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო მიგვეტოვებინა შემადგენლობა. განა შეიძლებოდა სხვანაირად მოვქცეულიყავით? ჩვენ რკინიგზელები ვართ. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ტვირთის დაცვისათვის. ეს ტვირთი ხომ ფრონტზე უნდა გაგზავნილიყო და ამიტომ მისი მიტოვება მით უფრო შეუძლებელი იყო. მაშასადამე უნდა გვემოქმედნა. ამის შედეგად კი ტვირთიც გადავარჩინეთ და ჩვენ შორისაც მსხვერპლი არ ყოფილა.

ერთი დამსწრე, სწერს ნარკვევის ავტორი, ასეთივე მაგალითის მოწმე იყო მეორე სადგურზე, ებროს შესართავში (კატალონიის სამხრეთ ნაწილში). შეიქმნა ისეთივე ვითარება. სადგურზე იყო მატარებელი სამხედრო საჭურველით. მათ თავზე დაფრინავდა 30 თვითმფრინავი. რკინიგზელებმა, რომელთაც თავზე ყუმბარები ცვიოდათ, სწრაფად დახსნეს შემადგენლობა და ტვირთი ბომბარდირებისაგან გადაარჩინეს. აქაც, როდესაც ამ სადგურის რკინიგზელების მამაცობის გამო აღტაცება გამოსთქვეს, რკინიგზელებმა ნამდვილი გმირობის მაჩვენებელი მოკრძალებით განაცხადეს:

განა ჩვენს მოქმედებაში არის რაიმე არაჩვეულებრივი? ჩვენ მხოლოდ ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ, თანახმად რკინიგზის წესებისა. ჩვენ დაკისრებული გვაქვს დავიცვათ ტვირთი და ჩვენც ვასრულებთ ამ მოვალეობას რესპუბლიკის წინაშე.

იაპონიის მხედრობა განაგრძობს თავის პროვოკაციებს

ა. წ. 29 ივლისს 16 საათზე ხასანის ტბასთან მდებარე იმ მაღლობის ჩრდილოეთით, რომელზედაც, როგორც ვიცით, იაპონიის მთავრობამ ამ ცოტა ხნის წინათ დაუსაბუთებელი პრეტენზიები განაცხადა, — იაპონელ-მანჯურთა ორი რაზმი გადმოვიდა საბჭოთა საზღვარზე და შეეცადა ხელში ჩაეგდო მაღლობი, რომელიც მდებარეობს ორ კილომეტრზე ხასანის ტბასთან არსებული ზემოხსენებული მაღლობის ჩრდილოეთით.

ჩვენი სანაპირო თავდაცვის მიერ მიღებული ზომების შედეგად, იაპონელ-მანჯურები სავსებით განდევნილ იქნენ საბჭოთა ტერიტორიიდან. ორივე მხრით არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

დაუყოვნებლივ, როგორც კი მოსკოვში მიღებულ იქნა ცნობები ამის შესახებ, საქმეთა რწმუნებულს ტოკიოში მიეცა დავალება გადაჭრით განუცხადოს პროტესტი იაპონიის მთავრობას იაპონია-მანჯურიის მხედრობის ამ ახალი პროვოკაციების წინააღმდეგ, მოითხოვოს დამნაშავეთა სამაგალითოდ დასჯა და გააფრთხილოს იაპონიის მთავრობა, რომ საბჭოთა მთავრობა მას აკისრებს მთელს პასუხისმგებლობას მანჯურიაში მყოფი მისი ორგანოების ამ მოქმედებათა შედეგებისათვის. (საქდესი).

იტალიის დამხმარე ძალების გადაყვანა ესპანეთში

პარიზი, 29 ივლისი (საქდესი) ესპანის სააგენტო იუწყება, რომ კადიქსში უკანასკნელი დღეების განმავლობაში გრძელდებოდა იტალიის სამხედრო საჭურველის გაძლიერებული გადმოტვირთვა და იტალიელთა ჯარის გადმოსხმა. 16 ივლისს კადიქსში გადმოსხეს 7 ათასი იტალიელი ჯარისკაცი. 26 ივლისს იტალიის სავაჭრო გემმა კადიქსში „ფიატის" ტიპის გამანადგურებელ თვითმფრინავების დიდი რაოდენობა გადმოტვირთა. იმავე დღეს იტალიის საჰოსპიტლო გემმა „გრადისკამ", რომელიც ნეაპოლიდან მოვიდა, 100 იტალიელი ჯარისკაცი გადმოსხა. 27 ივლისს ესპანეთის მეამბოხეთა სავაჭრო გემმა სეუტიდან ესპანეთში გადმოიყვანა 600 ჯარისკაცი.

იტალიელი ინტერვენტები აღიარებენ

რომი, 29 ივლისი (საქდესი). მეამბოხეთა და ესპანეთში მყოფ იტალიის ჯარების „გამარჯვებათა" ყოველდღიური ქება-დიდების მიუხედავად, იტალიურ გაზეთებს აღარ შეუძლიათ დამალონ, რომ რესპუბლიკელებმა ებროს ფრონტზე უაღრესად სერიოზული ზიანი მიაყენეს ფაშისტებს. მუსოლინის გაზეთის „პოპოლო დ'იტალიას" სპეციალური კორესპონდენტი სწერს: „რესპუბლიკელები 6 თუ 7 დივიზიის რაოდენობით გათენებისას გადმოვიდნენ მდინარე ებროზე და დაიწყეს დიდი სტილის შეტევა. მათ მდინარე ებროზე სხვადასხვა პუნქტში გასდეს 6 ხიდი და გაშალეს შემოტევა ფრონტზე, რომლის მანძილი 60 კილომეტრს აღემატება. ხიდების აგება და დივიზიების გადაყვანა არაჩვეულებრივი სისწრაფით მოახდინეს, ხიდები მაშინვე არტილერიისა და ამუნიციის მოსაზიდავად გამოიყენეს. ნორმალურად ამ რაოდენობის ნაწილების გადაყვანას მთელი დღე დასჭირდებოდა, მაგრამ რესპუბლიკელებმა მოახერხეს 6 საათის განმავლობაში გადაეყვანათ თავიანთი ძალები მდინარის მარჯვენა ნაპირზე".

იტალიური გაზეთის კორესპონდენცია ასახავს იმ დაბნეულობას, რომელიც რესპუბლიკელთა სწრაფმა შეტევამ შეიტანა მეამბოხეთა და ინტერვენტთა რიგებში.

მეორე იტალიური გაზეთი „კორიერა დელა სერა" გაკვირვების იმავე გრძნობით, რომელიც დაბნეულობაში გადადის, სწერს რესპუბლიკელთა დიდი ძალების მოულოდნელი გადაყვანის შესახებ მდინარე ებროზე და აღნიშნავს „რესპუბლიკელთა ფრიად ხერხიან ტაქტიკას".

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საქდესის ხანკოუელი და ლონდონელი კორესპონდენტებისაგან მიღებული ცნობების მიხედვით).

ცენტრალურ ჩინეთში.

ცენტრალურ ჩინეთში დიდი ბრძოლა სწარმოებს მდინარე იანძის მარჯვენა ნაპირზე, ძიუძიანიდან დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით, და მდინარე იანძის ჩრდილო ნაპირზე, ანხუეის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

ჩინელი ჯარი ქალაქ ძიანძიანის დატოვების შემდეგ გამაგრდა ახალ თავდაცვით პოზიციებზე მთიან ადგილას, ქალაქიდან დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით. იაპონიის სარდლობა განაგრძობს ფრონტის ამ უბანზე მაშველი ძალების გადმოყვანას. 28 ივლისს მთელი დღის განმავლობაში კვლავ გრძელდებოდა ბრძოლა ქალაქის მიდამოებში. გუშინ დიდი ბრძოლა მოხდა ქალაქის სამხრეთით.

მდინარე იანძის ჩრდილო ნაპირზე ბრძოლა სწარმოებს ქალაქ ტაიხუს რაიონში. ჩინელი ჯარი მედგარ წინააღმდეგობას უწევს იაპონელებს. იაპონელ ჯარს დიდი ზარალი მოსდის. ბრძოლა სწარმოებს აგრეთვე ტაიხუდან სამხრეთით ქალაქ სუსუნის რაიონში. აქ იაპონელთა სარდლობამ გამოგზავნა ანცინიდან ჯარის კოლონა, რომელმაც 28 ივლისს შეტევა დაიწყო სუსუნზე. ბრძოლა სწარმოებს 30 კილომეტრის მანძილზე ქალაქიდან.

29 ივლისს განთიადზე ჩინეთის ავიაცია თავს დაესხა იაპონიის სამხედრო გემებს ბუკოუს რაიონში (ძიუძიანის აღმოსავლეთით). ბომბარდირების შედეგად ჩაძირულ იქნა იაპონიის ერთი დიდი გემი. 28 ივლისს ღამით გუიჩის რაიონში (ანცინის ჩრდილო-აღმოსავლეთით) მდინარე იანძიზე შენიშნეს იაპონიის 47 გემი, რომლებზედაც ჯარი იყო.

ჩრდილოეთ ჩინეთში

ჩრდილოეთ ჩინეთში დიდი სამხედრო ოპერაციები არ სწარმოებს. უმთავრესად მოქმედებენ პარტიზანული რაზმები იაპონიის ჯარის ზურგში. მათი მოქმედება იაპონელებს კაიფინის რაიონში (ხენანის პროვინცია) აიძულებს უკან დაიხიონ აღმოსავლეთისაკენ.

სურათზე: კოჯრის საშუალო სკოლის ფრიადოსნები: (მარცხნიდან მარჯვნივ) მ. ფაშურიშვილი, ნ. ბუსოვი, თ. ჯაფარიძე, დ. მახარაძე, დ. შიმშირიანი და ე. ჩხობაძე. ფოტო მ. კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

◇ ★ ◇

დიდი ზეიმი კოჯრის საბავშვო ახალშენში

30 ივლისს, კოჯრის საბავშვო ახალშენში აღინიშნა ახალშენის არსებობის 15 წლისთავი.

ამ სასიხარულო დღეს ახალშენს სტუმრად ეწვივნენ მოძმე რესპუბლიკების საბავშვო სახლების აღსაზრდელები და თანამშრომლები.

ბავშვებმა სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. აღსაზრდელებს მიესალმნენ სომხეთის, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის წარმომადგენლები და ბავშვები.

სტუმრებმა დაათვალიერეს ხალხთა ბელადის, დიდი სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის გასაცნობად შესანიშნავად მოწყობილი ოთახი.

სტუმრებმა აგრეთვე დაათვალიერეს პიონერთა ოთახი, კულტურისა და დასვენების პარკი, სათამაშო მოედნები და სხვ.

ზეიმზე მონაწილეობა მიიღეს: საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანმა, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. თ. ბირკაძემ, საქ. განათლების სახალხო კომისრის მოადგილემ, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. მ. ბურჭულაძემ; მწერლებმა: ს. ეულმა, ი. აბაშიძემ, კ. ბობოხიძემ; მახინჯაურის, შუა-მთის, ვაშლოვანის საბავშვო სახლების წარმომადგენლებმა, კოჯრის საბავშვო ახალშენში აღზრდილებმა და სხვ.

დასასრულ ახალშენის დირექციამ დააჯილდოვა ფრიადოსანი აღსაზრდელები.

გ. დავითაშვილი.

საძირკველი ჩაეყარა მხატვრული აღზრდისა და ბავშვთა შორის ტექნიკური პროპაგანდის სახლს

30 ივლისს, დილის 11 საათზე კინოთეატრ „დამკვრელის" გვერდით (პლეხანოვის პრ. № 125) საძირკველი ჩაეყარა თბილისის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მხატვრული აღზრდისა და ბავშვთა შორის ტექნიკური პროპაგანდის სახლს.

მშენებლობის ადგილზე თავი მოიყარა თბილისის ათასზე მეტმა პიონერმა, მოწაფემ და მშრომელმა. საზეიმო მიტინგი გახსნა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის პიონერგანყოფილების გამგემ ამხ. ჩოფიკაშვილმა. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ამიერ-კავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე კომკავშირის ხაზით ამხ. მამულაშვილი, საბავშვო რკინიგზის უფროსი მასობრივი მუშაობის დარგში, პიონერი გუსტავ აიზენბერგი, მისი მოადგილე კომკავშირელი სერგო დათუაშვილი, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ლ. ესაკია და სხვ.

მიტინგს დაესწრნენ ა.-კ. რკინიგზის უფროსი ამხ. ბ. არუთინოვი, გზის პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. ი. სვანაძე, საქ. ალკკ ც. კ-ის მდივნები ამხ. ალ. მირცხულავა, შ. ჭანუყვაძე და თ. ბირკაძე, გრიბოედოვის სახ. თეატრის დირექტორი კ. შახაზიზოვი, ორდენოსანი რკინიგზელები ამხ. ა. წიკლაური და ნ. გელაძე, კომკავშირის ლენინის რაიკომის მდივანი, ორდენოსანი ამხ. დ. სეფერთელაძე და სხვ.

მიტინგის დამთავრების შემდეგ მოხდა შენობის საძირკვლის ჩაყრა. რკინიგზელთა პროფკავშირის ა. კ. საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე ორდენოსანმა ამხ. ჯორბენაძემ იმ ადგილას, სადაც უნდა აშენდეს სახლი, საერთო აღფრთოვანებისას დასდო მხატვრული აღზრდისა და ბავშვთა შორის ტექნიკური პროპაგანდის მომავალი სახლის პირველი აგური.

თბილისის „დინამოს" ახალი წარმატება

30 ივლისს ფეხბურთის თამაშს მოწყურებული თბილისელები მრავლად მიაწყდნენ „დინამოს" სტადიონს, თუმცა თამაშობდნენ არათანაბარი კლასისა და სიძლიერის გუნდები (თბილისის „დინამო" და მოსკოვის „ბურევესტნიკი").

პირველ ტაიმში „დინამოს" არ კამოუდიოდა თამაში. ნახევარდაცვაში არ იყო სისტემა, თავდამსხმელებმა კი ვერ გამოიყენეს მრავალი შესაძლებლობა.

ტაიმის მეორე ნახევარში აწვებოდა უმთავრესად „ბურევესტნიკი". მე-20 წუთზე დოროხოვმა მოხდენილი ნახტომით „მკვდარი" ბურთი აიღო. მე-26 წუთზე მან მეორედ იხსნა თბილისის გუნდი წაღდი გოლისაგან.

პირველი ტაიმის უფერული თამაში მატჩის მეორე ნახევარში ტემპიანმა და მწვავე თამაშმა შესცვალა. მოსკოველებმა სცადეს ინიციატივის თავის ხელში აღება და იერიშზე გადავიდნენ. მე-5 წუთზე დოროხოვმა კვლავ იხსნა თავისი გუნდი დამარცხებისაგან.

მაგრამ მათი შეტევა მალე ამოიწურა და მდგომარეობის ბატონ-პატრონი მინდორზე თბილისელები შეიქნენ. მე-7 წუთზე პაიჭაძემ კარგად ისარგებლა ბერეჟნოის პასით და პირველი ბურთი გაიტანა.

შემდეგში დინამოელებს აღარ შეუწყვეტიათ იერიშები, მრავალი სახიფათო მომენტი შექმნეს მოსკოვის კართან, მაგრამ ანგარიშის გადიდება ველარ შესძლეს. ამ საქმეში მათ საგრძნობლად ხელს უშლიდა „ბურევესტნიკის" მეკარე პობედუშკინი, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო.

ის-ის იყო მატჩი 1:0-ზე უნდა დამთავრებულიყო, რომ თამაშის უკანასკნელ წუთზე ბერეჟნოიმ ლამაზი გოლით დააგვირგვინა სომოვის მიერ დაწყებული კომბინაცია.

მართალია მატჩი თბილისის „დინამოს" გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ ამდღევანდელი თამაში ღირსებას ვერ შემატებს მის სახელს. დინამოელებმა შეჯიბრება არათანაბარი ძალით ჩაატარეს: პირველ ტაიმში ძალზე მოიკოჭლებდნენ, მეორეში გამოცოცხლება დაეტყოთ, მაგრამ მაინც არა სჩანდა ის აზრიანი და წარმტაცი თამაში, რომელიც სხვა დროს გვინახავს მათგან.

დოროხოვის გარდა „დინამოში" გამოირჩეოდა ჯეჯელავა. გატანილი ბურთების რიცხვი მეტი იქნებოდა, რომ ეს პირველხარისხოვანი მოთამაშე უფრო მეტად ყოფილიყო გამოყენებული.

ბ. პაიჭაძე ამ დღეს თავს ვერ გრძნობდა თავდასხმის ლიდერად, ალბათ იმიტომ, რომ მისი მარჯვენა მეზობელი მ. ბერძენიშვილი აშკარად სუსტი იყო. ე. ნიკოლაიშვილმა მეორე ტაიმში გააქარწყლა ის ცუდი შთაბეჭდილება, რომელიც მისმა თამაშმა შეჯიბრების პირველ ნახევარში მოახდინა.

კარგად სჯიდა მატჩს ხარკოველი ლევინი.

შ. გუთხუზი

○

მოსკოვის „ცდკა"-ს და თბილისის „ლოკომოტივის" მატჩი, როგორც მკითხველებმა იციან, დამთავრდა „ცდკა"-ს გამარჯვებით ანგარიშით 2:1. მეორე ბურთი მოსკოველებმა მსაჯის დახმარებით გაიტანეს.

„ლოკომოტივმა" მსაჯის მოქმედება გაასაჩივრა. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის დისციპლინარულმა კომისიამ დაადგინა „ცდკა"-ს და თბილისის „ლოკომოტივის" მატჩი გადათამაშებულ იქნას.

ამინდი

30 ივლისს დასავლეთ საქართველოში იყო მოღრუბლული ამინდი (ანასეული, ბათუმი, ქედა, ხულო, მესტია), მოვიდა მცირე წვიმა. ყველაზე მაღალი ტემპერატურა აღნიშნული იყო ქუთაისში (35 გრადუსი), ყველაზე დაბალი ხულოში (17 გრადუსი), სოხუმში ტემპერატურა 28 გრადუსს უდრიდა, ბათუმში—27.

აღმოსავლეთ საქართველოში იდგა მოღრუბლული ამინდი, თითქმის ყველა რაიონში მოდიოდა მცირე წვიმა. ყველაზე მაღალი ტემპერატურა აღნიშნული იყო წნორისწყალში (30 გრადუსი), ყველაზე დაბალი—ახალქალაქში (11 გრადუსი). თბილისში ტემპერატურა 24 გრადუსს აღემატებოდა.

დღეს თბილისში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ცვალებადი მოღრუბლულობა, უმნიშვნელო წვიმა, დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 18 გრადუსიდან ღამით 30 გრადუსამდე დღისით.

გასწორება

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მიერ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ბრძანების — „1939 წელს მოსახლეობის საერთო-საკავშირო აღწერის შესახებ" — ტელეგრაფით გადმოცემის დროს ტელეგრაფის მიზეზით ტექსტში დაშვებულია შეცდომა. ბრძანების (დაბეჭდილია „კომუნისტის" 28 ივლისის ნომერში) მე-8 პუნქტი ასე უნდა იკითხებოდეს: „სახალხო მეურნეობის აღრიცხვის საქალაქო და სარაიონო ინსპექტურებთან" და ა. შ.

საქდესი.

ნეკროლოგი

შოთა გაფრინდაშვილი

ხანმოკლე ავადმყოფობის შედეგად უდროოდ გარდაიცვალა გაზ. „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი ყვარლის რაიონში ამხ. შოთა გაფრინდაშვილი.

შოთა ალექსანდრეს-ძე გაფრინდაშვილი დაიბადა ჭიათურის რაიონის სოფ. ღვიმევში მარგანეცის მაღაროს მუშის ოჯახში. სწავლობდა ჯერ ახალსოფლის (თელავის რაიონი) შვიდწლედში, ხოლო შემდეგ თელავის პედტექნიკუმში.

1933-დან 1934-წლამდე მუშაობდა ნაფარეულში კომკავშირის კომიტეტის მდივნად, ხოლო 1934 წლიდან მასწავლებლად.

1935 წელს დაამთავრა გაზ. „კომუნისტის" რედაქციასთან არსებული ორთვიანი კურსები და 1937 წლის მაისამდე მუშაობდა ყვარლის რაიგაზეთის რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად და რედაქტორის მოადგილედ.

1938 წლიდან იყო „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი ყვარელში.

ამხ. შოთა გაფრინდაშვილი იყო საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1937 წლიდან და კომკავშირის წევრი 1927 წლიდან.

ამხანაგების ჯგუფი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი.

საქფილარმონიის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50

2, 3 აგვისტო ტალ. № 63, 64
საღამოები აზერბაიჯანული დეკადის მონაწილეებისა მოსკოვში
მონაწილეობენ: ორდენოსანი სოლისტები:
კანრიჯ გრიგორიანი, ჰაჯიბაბა ბეკოვი (რესპ. დამსახ. არტისტი), ალმას-ზადე.
ხალხურ საკრავთა ანსამბლის თანხლებით — სოლომონ სეირანოვის ხელმძღვანელობით.
როიალთან — სეოგეი ბაზოვი
ვისაც მუდმივ ბილეთებზე მეორე გადასახდელი შეტანილი არ ექნება, მას თეატრში არ შეუშვებენ.

ღია ესტრადა
1 აგვისტო
ხმოვანი კინო-ფილმი
ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით.
ანონსი: 7 აგვისტოდან ოპერეტის სახელმწიფო თეატრის გასტროლები.
50

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექცია
აცხადებს, რომ
დასის შეკრება დანიშნულია
ა. წ. 7 აგვისტოს, დღის 12 საათზე.
2—1 18538

ხელისმომწერთა საყურადღებოდ
გამოვიდა და დაეგზავნა ხელისმომწერლებს
ჟურნალები:
ნიანგი № 11
ოქტომბრელი № 7
მშრომელი ქალი № 6
პიონერი № 6

1938 წლის სახელმწიფო შინაგანი მოგებიანი სესხის
მოგებათა პირველი ტირაჟი შესდგება ქ. მოსკოვში 1938 წ. 10 აგვისტოს
ტირაჟში იქნება გათამაშებული:

4 მოგება თითო	25.000 მან.
20 მოგება თითო	10.000 მან.
120 მოგება თითო	5.000 მან.
1200 მოგება თითო	1.000 მან.
4336 მოგება თითო	400 მან.

სესხი გამოშვებულია 200,100 და 50 მან. ღირებულების ობლიგაციებით. აღნიშნული სესხის ობლიგაციები თავისუფლად გაიყიდება და შეისყიდება შემნახველ სალაროების მიერ სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასების მიხედვით.
საქ. სსრ სახშრომშემსალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.
1721

არტელ „უტილპრომსბორის" ლიკვიდაციასთან დაკავშირებით
იყიდება საბავშვო სათამაშოები:
საწერი მაგიდები, ნახევრად მზანაწარმი, ბილიარდები, სურათების ჩარჩოები და სხვა და სხვა სამუშაო დაზგები. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ აღნიშნულ არტელის ლიკვიდკომს დილის 9 საათიდან საღამოს 4 საათამდე.
ბნელი რიგი № 20.
18524 ლიკვიდკომი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს
შემდეგი კათედრების და კურსების გამგებლობაზე:
1) სოც-ეკონომიური მეცნიერებანი, 2) სოც-ჰიგიენა სანიტარული სტატისტიკით, 3) ფიზიკა, 4) რენტგენოლოგია.
განცხადებას თან უნდა დაერთოს: 1) შევსებული ანკეტა, 2) ავტობიოგრაფია, დამოწმებული იმ დაწესებულების მიერ, რომელშიაც მუშაობს, კონკურსში მონაწილე, 3) საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება, 4) მეცნიერულ შრომათა სია, დაწესებული ფორმით შედგენილი, 5) სამეცნიერო შრომები, 6) სამეცნიერო შრომების შეფასება, 7) ცნობა სამეცნიერო ხარისხის შესახებ.
ზემოაღნიშნული საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ორ-ორ ცალად.
განცხადების შემოტანის უკანასკნელი ვადაა 15 სექტემბერი.
მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის ქ. № 12, თბილ. სახ. სამედიცინო ინსტიტუტი.
1718 დირექცია

ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი
აცხადებს:
1. ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის რუსული სექციის პირველ კურსზე შემოსვლელთა განცხადებების მიღება იწარმოებს 10 აგვისტომდე.
2. აკადემიურ შვებულებაში მყოფი სტუდენტები ვალდებული არიან: 15 აგვისტომდე შემოიტანონ განცხადება შვებულებიდან დაბრუნების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰკარგავენ ინსტიტუტში დაბრუნების უფლებას.
ინსტიტუტის დირექტორი ლ. ჭელიძე.
18535

26 კომ. სახ. სასამართლოს მე-11 უბნის აღმასრულებელი თოლორაია აცხადებს, რომ ა. წ. 3 აგვისტოს დღის 2 საათზე 26 კომ. რაიონში შაუმიანის ქ. № 19,
საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის
გიორგი ონანოვის შემდეგ ნივთებს. პიანინო 2000 მან., შიფონერი, ბუფეტი, ტანსაცმლის შკაფი, საკერავი მანქანა, პატეფონი, გრამოფონი, კედლის ხალიჩა, ვენის სკამები 7 ცალი 70 მან., „ოტომანკა" და სხვ. ქონება შეფასებულია 3.670 მანეთად, უსინათლოთა საზოგადოების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად 1937 წ. 5 თებერვლის აღმასრულ. ფურც. № 1/1516.
18531

თმის მკურნალობისა და კოსმეტიკის კაბინეტი ექიმ ნ. გ. კონტოროვიჩისა
გადავიდა
ელბაქიძის დაღმართზე (ყოფ. ვერის დაღმ.), № 21. მიღება 12-დან 3-მდე და საღ. 6-დან 8 საათამდე.
კაბინეტი მკურნალობს ძიძიბებს, ფერისმჭამელას, ჭორფლს, ტალღებს, ნაოჭებს, კანის სიმშრალეს, თმის დაცვენას, ქერტლს, სპობს მეჭეჭებს, ხალებს, ნაჭრილობევს და სახისა და თავის კანის სხვა ნაკლს 77431

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციისა და გამომცემლობის თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება ყვარლის რაიონში „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტის

შოთა ალექსანდრეს-ძე გაფრინდაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას.

მისამართი: რედაქციის — თბილისი. რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სახდივნოსი 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24; პ-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

„ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—1403